ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

akhalitaoba.ge

პარასკევი, 3 ივლისი, 2020 №142 (8406) ფასი: 60 თეთრი

ყოლგამოჭრილი დავით სვიანაძე აივანზე ცოლმა იპოვა

ბრალდებული ჰასან დოგანი დანაშაულს არ აღიარებს

გვ.5

პროკურატურამ მას ბრალი წაუყენა

ვისაც სიაში ყოველი მე-3 ქალი ეყოლება, დაფინანსება 30%-ით გაეზრდება

გვ.2

პარლამენტმა „საარჩევნო კოდექსში“ ცვლილებები მე-3 მოსმენით მიიღო

„ოპოზიციას ხელისუფლებაში მოსვლა არ უნდა“

პაატა დავითაია: „მე არ ვერიდები ამაზე საუბარს და თქვენც ღიად გეტყვით, რომ ტაქტიკა არის ოპოზიციაში დარჩენის და არ არის ტაქტიკა ხელისუფლებაში მოსვლის!“

გვ.3

„სანამ ივანიშვილს სანქციებით არ დაემუქრნენ, საკონსტიტუციო ცვლილებები არ მიიღეს“

ხათუნა გოგორიშვილი: „ოცნება“ ხავსს ეჭიდება და საარჩევნო პროცესში ძალადობის მექანიზმებს ტოვებს“

გვ.2

გვ.4

ჯონდი ბაღათურია: „ძლიერ პარტიებს ვთხოვთ, თავიანთი სარეკლამო დროის გამოყენების უფლება მოგვცენ“

გვ.5

შინაგან საქმეთა მინისტრი ვახტანგ გომელაური თურქეთის რესპუბლიკის ელჩს შეხვდა

პუტინს რუსეთის სათავეში დარჩენა 2036 წლამდე შეეძლება

გვ.6

ISSN 1987-9385

4 უგულავა: „ელისაშვილი ოპოზიციის ოპოზიციად ჩამოყალიბდა“

5 ვის ეკუთვნის შავი წინდები და ფეხსაცმლის საფენები, რომლებიც არაგვის ხიდის ქვეშ იპოვეს

4 ოკუპირებულმა აფხაზეთმა რუსეთთან საზღვრის ჩაკეტვა 15 ივლისამდე გააგრძელა

6 დიდი ბრიტანეთის მთავრობა ვენესუელის პრეზიდენტად ხუან გუაიდოს აღიარებს

ვისაც სიაში ყოველი მე-3 ქალი ეყოლება, დაფინანსება 30%-ით გაეზრდება

პარლამენტმა „საარჩევნო კოდექსში“ ცვლილებები მე-3 მოსმენით მიიღო

პარლამენტმა „საარჩევნო კოდექსში“ შესატანი ცვლილებების პროექტი მესამე მოსმენით (94 მომხრე, 1 წინააღმდეგი) დაამტკიცა. პროექტი საარჩევნო კამპანიასთან და არჩევნების ჩატარების პროცედურებთან დაკავშირებით მთელ რიგ ცვლილებებს ითვალისწინებს.

ცვლილებების თანახმად, კენჭისყრის დღეს, სააგიტაციო მასალის განთავსება, საარჩევნო უბნის გარდა, შენობის შესასვლელიდან 25 მეტრის რადიუსშიც აკრძალული ხდება. აკრძალული ხდება კენჭისყრის შენობაში ან ამ შენობიდან 25 მეტრის მანძილზე ამომრჩევლის გადაადგილების ფიზიკურად შეფერხებაც. ეს აკრძალვა არ შეეხება ეგზიტპოლის მიზნით განხორციელებულ საქმიანობას.

რაც შეეხება ადმინისტრაციული რესურსის გამოყენების პრევენციისთვის გატარებულ ცვლილებებს, ფართოვდება იმ პირთა წრე, რომელთაც წინასაარჩევნო აგიტაციის გაწევა და მასში მონაწილეობა ეკრძალებათ. პროექტის მიხედვით, წინასაარჩევნო აგიტაციაში მონაწილეობის უფლება აღარ ექნებათ საჯარო სკოლების პედაგოგებს, სამსახურებრივი ფუნქციების შესრულებისას, ასევე სსიპ-ებისა და სახელმწიფოს ან ადგილობრივი თვითმმართველობის მიერ დაფუძნებული არასამეწარმეო იურიდიული პირების თანამშრომლებს. ამასთან, საარჩევნო კოდექსს ემატება ჩანაწერი, რომელიც არჩევნებამდე 2 თვით ადრე სამინისტროებსა და სხვა სახელმწიფო უწყებებს შეუზღუდავს განხორციელებული პროექტების შესახებ სარეკლამო ვიდეო რგოლების განთავსებას.

ცვლილებების პროექტის თანახმად, არჩევნების მეორე ტური გაიმართება არჩევნებიდან მე-3 შაბათს და მას განკარგულებით ნიშნავს ცესკო. თუ მეორე ტურში მონაწილე ერთ-ერთმა საარჩევნო სუბიექტმა დაკარგა პასიური საარჩევნო უფლება, ასეთ შემთხვევაში მეორე ტური არ გაიმართება და ცესკოს მიერ გამარჯვებულად ცხადდება მეორე საარჩევნო სუბიექტი.

კანონპროექტი ასევე ითვალისწინებს მედია-კამპანიისა და პოლიტიკური სუბიექტებისთვის დათმობილი საეთერო დროის მიმართულებით მთელ რიგ ცვლილებებს.

პროექტის თანახმად, ტელე ან რადიოკომპანიის მიერ 1 დღის განმავლობაში გამოყოფილი ფასიანი დრო არ უნდა აღემატებოდეს მისი დღიური მაუწყებლობის საერთო მოცულობის 15 პროცენტს და არც ერთ საარჩევნო სუბიექტს არ უნდა დაეთმოს ამ დროის ერთ მესამედზე მეტი. ფასიანი დროის ტარიფი ყველა საარჩევნო სუბიექტისათვის ერთნაირი უნდა იყოს.

მაუწყებლის მიერ ფასიანი რეკლამის განთავსებისათვის გადახდილ საფასურზე მეტი დროის დათმობა შესაბამისი (რეკლამის დამკვეთი) სუბიექტისათვის, ან უფასო რეკლამის განთავსებისას საარჩევნო სუბიექტისათვის კანონმდებლობით განსაზღვრულ დროზე მეტის დათმობა, ჩაითვლება უკანონო შემოწირულობად.

აკრძალულ შემოწირულობად იქნება მიჩნეული დაუსაბუთებელი შემოსავლით გაკეთებული შემოწირულობაც.

წარმოდგენილი ცვლილებებით, არჩევნებში მონაწილე პოლიტიკური სუბიექტები ვეღარ შეძლებენ მედიაში ერთმანეთზე პოზიტიური საარჩევნო რეკლამის განთავსებას. უფრო კონკრეტულად, დაუშვებელი იქნება ერთი საარჩევნო სუბიექტის მიერ სარეკლამო დროის ფარგლებში ისეთი რეკლამის განთავსება, რომელიც სხვა საარჩევნო სუბიექტის სააგიტაციო მიზნებს ემსახურება.

გარდა ზემოაღნიშნულისა, მედია საშუალებას საარჩევნო უბანში ნაცვლად 3-ისა, 2 წარმომადგენლის ყოლის უფლება ექნება.

ტელე და რადიომაუწყებლის მიერ საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვის შედეგების კანონით დადგენილ ვადაზე ადრე გამოქვეყნებაზე ჯარიმა იზრდება. კერძოდ, საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვის შედეგების გამოქვეყნებასთან დაკავშირებული წესების დარღვევა გამოიწვევს მაუწყებლის დაჯარიმებას 5.000 ლარით. სხვა მედიის საშუალებებისთვის ჯარიმის ოდენობა კვლავ 1.500 ლარი იქნება.

ამასთან, ცვლილებების თანახმად, საზოგადოებრივი მაუწყებელი უფლებამოსილია, კვალიფიციური პარტიების გარდა, დებატებში მიიწვიოს არჩევნებში მონაწილე არაკვალიფიციური სუბიექტებიც.

კანონში აღარ იქნება ასახული ნორმა, რომლის თანახმად, სახელმწიფო აუდიტის სამსახურს ენიჭება ფართო დისკრეციული უფლებამოსილება მედიის ფინანსური საქმიანობის რეგულირებისა და კონტროლის კუთხით. შესაბამისად, პროექტში აღარც სანქციაა გათვალისწინებული.

გაგრძელება მე-3 გვერდზე

„სანამ ივანიშვილს სანქციებით არ დაემუქრნენ, საკონსტიტუციო ცვლილებები არ მიიღეს“

ხათუნა გოგორიშვილი: „ოცნება“ ხავსს ეჭიდება და საარჩევნო პროცესში ძალადობის მექანიზმებს ტოვებს“

იაგო ნაცვლიშვილი

საქართველოს პარლამენტმა საარჩევნო კოდექსში ცვლილებები მეორე მოსმენით მიიღო, რომელშიც ოპოზიციის ნაწილმა მონაწილეობა არ მიიღო. მათ შორის არის „ევროპული საქართველოც“. მიზეზი კი ისაა, რომ მათ მიერ წარდგენილი წინადადებები არც კი განხილა პარლამენტმა. პარტიაში აცხადებენ, რომ მთავარი ცვლილებები ხელისუფლებამ არ გაითვალისწინა, მათ შორის ეუთო/ოდირის 27 რეკომენდაციიდან მხოლოდ 3 შეასრულა.

უფრო კონკრეტულად ამ საკითხებზე და მათი შენიშვნების შესახებ „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში „ევროპული საქართველოს“ წევრი **ხათუნა გოგორიშვილი** საუბრობს.

– რა პოზიცია გაქვთ საარჩევნო ცვლილებებთან დაკავშირებით, უჭერთ თუ არა „ევროპული საქართველო“ მხარს და რა შენიშვნები გაქვთ საკანონმდებლო პაკეტთან?

– ჩვენ წარვადგინეთ ჩვენი მოსაზრებები იმ აუცილებელი საკითხებისა, რომლებიც პარლამენტს უნდა შეეტანა საარჩევნო კოდექსში. თუმცა, სამწუხაროდ, ხელისუფლებამ არ გაითვალისწინა „ევროპული საქართველოს“ წინადადებები. არათუ მიღებაზე, განხილვაზეც კი უარი თქვა. აქედან გამომდინარე ჩვენ არ ვიღებთ საარჩევნო ცვლილებების განხილვაში მონაწილეობას, არც მიგვიღია მონაწილეობა არც პირველი მოსმენის და არც მეორე და მესამე მოსმენის დროს.

– რა ცვლილებებს გულისხმობდა თქვენი წინადადებები?

– ჩვენი ცვლილებებიდან ერთი მიმართულება იყო ეუთოს რეკომენდაციები, რომელზეც რეკომენდაციები ეუთო/ოდირმა ოფიციალურად წარადგინა საარჩევნო კოდექსში შესატანად. ჩვენ ვითხოვდით, რომ თითოეული რეკომენდაცია დეტალურად განხილულიყო და ყველაზე მიეღო პარლამენტს გადაწყვეტილება. თუმცა, მხოლოდ სამი მათგანი იყო ასახული პროექტში და ისიც უმნიშვნელო. უეთოს რეკომენდაციების ყველაზე მნიშვნელოვანი ნაწილი ეხება საარჩევნო ადმინისტრაციის დაკომპლექტების წესს. ასევე მედიარეგულაციებს და რესურსების გამოყენებას, რაც პარლამენტს არც კი განუხილავს.

რაც შეეხება ჩვენს კონკრეტულ წინადადებებს, გარდა ეუთო/ოდირის რეკომენდაციებისა, ჩვენ აუცილებლად მიგვაჩნია, რომ მიღებული იყოს ცვლილება, რომელიც საარჩევნო პროცესს მაქსიმალურად თავისუფალს და გამჭვირვალეს გახდის. კერძოდ, ყველას მოეხსენება, რაც ხდება ხოლმე საარჩევნო უბნებთან. მობილიზებულია ხოლმე ე. წ. ბირჟები ადგილობრივი ავტორიტეტებისა და მოკრიმინალო ელემენტების საშუალებით, რომლებიც ამომრჩეველზე ზეწოლას ახორციელებენ სხვადასხვა ფორმით. ზოგჯერ უკრძალავენ უბანზე შესვლას, ზოგჯერ აიძულებენ მათთვის სასურველი კანდიდატისთვის ხმის მიცემას და ეს სასურველი კანდიდატი ყოველთვის სახელისუფლებო პარტია ან მისი წარმომადგენელია.

ჩვენი წინადადება იყო, რომ საარჩევნო უბნის მიმდებარედ ნებისმიერი სახის თავშეყრა აიკრძალოს და ეს იყოს დასჯადი ქმედება, როდესაც ადამიანები დგანან საარჩევნო უბნის მიმდებარე ტერიტორიაზე. თავდაპირველ ვარიანტში „ქართულმა ოცნებამ“ შემოიტანა რაღაც ამდაგვარი, მაგრამ ჩაწერა, რომ უბნიდან 25 მეტრის რადიუსში არ შეიძლება შეფერხება. ანუ შეიძლება ადამიანები იდგნენ, თავშეყრა იყოს, მაგრამ შეფერხება არ იყოს დაშვებული.

– თუმცა ამგვარი რეგულაცია ცოტა სხვა ფორმით აქამდეც იყო. კერძოდ, არ შეიძლებოდა უბანზე შესვლა, მაგრამ 25 მეტრის რადიუსი ცვლის არსობრივად რამეს?

– აქ საუბარია იმაზე, რომ შეფერხება არ იყოს დაშვებული. ანუ შეიძლება იყოს ბირჟა, შეიძლება იდგნენ. ვნახეთ ჩვენ ე. წ. სპორტსმენები, რომლებსაც მასობრივად გრიპი ჰქონდათ და ნიღბებით იყვნენ საარჩევნო უბნებზე გარდაბანში, რომლებიც ამომრჩეველს პირდაპირ ყრიდნენ საარჩევნო უბნებიდან. სოფლებსა და რაიონებში ყველამ იცის, ვის უჭერს მხარს და მათ ეუბნებოდნენ, რომ წადით და არ მოხვიდეთ არჩევნებზე. მე პირადად მიწევდა მათთვის ხელის მოკიდება და უბნამდე მიცილება, რომ ამერიდებინა ამ ზეწოლისთვის. მაგრამ საბოლოო ვარიანტში 1 ივლისის განხილვაზე ეს ფორმალური მუხლიც კი ამოიღეს და აღარ იქნება საარჩევნო კოდექსში. არასამთავრობოები ითხოვდნენ, რომ 50 მეტრის რადიუსზე ყოფილიყო აკრძალული თავშეყრა, რაზეც უარი მიიღეს. მერე კი ეს მუხლი მთლიანად ამოიღეს.

საარჩევნო კოდექსში წერია, რომ საარჩევნო უბნის ტერიტორიაზე მობილურის გამოყენება აკრძალულია, თუმცა არსად არ არის ჩანაწერი, ვთქვათ, ადამიანი თუ შევა კაბინაში და გადაუღებს, არის თუ არა რაიმე სანქცია. ალბათ თქვენც პირველად არ გესმით ამ პრობლემის შესახებ, როდესაც კაბინაში უღებენ ფოტოს და უგზავნიან ვიღაცას. ეს ქმედება რომ დასჯადია, ეს ჩანაწერი კოდექსში არ არის.

ჩვენ გვინდოდა ჩანაწერის გაკეთება, რომ თუ ვინმე შეიტანს ტელეფონს და გამოიყენებს, მაშინ ამომრჩეველმა უნდა იცოდეს, რომ ამისთვის სანქცია იქნება, თუნდაც ადმინისტრაციული სახით.

– ეს როგორ უნდა განხორციელდეს და მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დააფიქსირეს, რომ ფოტო გადაუღო? იმ შემთხვევაში რა უნდა მოხდეს, თუ ამის ფიქსირება ვერ მოხდა და ჩუმად გადაიღო პირმა ფოტო?

– ამის გარკვევა რთული არ არის, რადგან ფოტოს გადაღების ხმა ისმის, ანუ ე. წ. ჩხაკუნი. თუ ამ ადამიანს თუნდაც ერთი ლარით დააჯარიმებ, ამ ადამიანს მიზეზი ექნება, რომ ტელეფონის შეტანაზე უარი თქვას. ასეთი ქმედებები სამოქალაქო აქტივობას ხელს უწყობს და ადამიანებს აძლევს იმის შესაძლებლობას, რომ ვიღაცის ზეწოლა არ შეასრულოს.

– რატომ არ ახორციელებს ხელისუფლება იმგვარ ცვლილებებს, რაც ამ ძალადობასა თუ ამომრჩევლის ზეწოლას გამორიცხავს? როგორია თქვენი პოლიტიკური შეფასება?

– ძალიან კარგად ხედავენ, რომ მათი მხარდამჭერების რაოდენობა შემცირებულია და ეს დგას ე. წ. ქორ მხარდამჭერებზე, პარტიულ აქტივისტებსა და ადმინისტრაციულ რესურსებზე. ხედავენ, რომ მათი მხარდაჭერა დღითიდღე იკლებს.

მათ ჰქონდათ ილუზია, რომ კორონამ გაზარდა მათი რეიტინგი, მაგრამ დროთა განმავლობაში უკმაყოფილება ამ მიმართულებითაც იზრდება და ამასაც ხედავენ. ხედავენ იმას, რომ თუ არჩევნები ჩატარდა ნორმალურად, ღიად და გამჭვირვალედ, წაგებული ექნებათ. ამიტომ წყალწაღებული ხავსს ეჭიდებოდაო, ეგ ვარიანტია. უნდათ, რომ ხმების დამატება ისევ ზეწოლით მოახერხონ, მაგრამ მინდა დავარწმუნო, რომ ნამდვილად არ უშველით არანაირი ახალი თუ ძველი რეგულაციები. იმიტომ, რომ ადამიანები გადაწყვეტილებას თვითონ იღებენ და ხელისუფლებას რეიტინგი დაკარგული აქვს. შესაბამისად, მას არ აქვს ხალხის ნდობა და მხარდაჭერა.

– როცა არ ხდება ეუთო/ოდირის რეკომენდაციების შესრულება და იმ ფონზე, როგორი კრიტიკაც ისმის დასავლეთიდან, ამ მიმართულებით რა გველოდება?

– წინასწარ კრიტიკას ვერ დაიწყებს. თეორიულად არის შანსი, რომ უცბად გაუნათდეს უმრავლესობას გონება და თქვას, ვაიმე, ეს რა დაგვემართაო და ეს რეკომენდაცია გაითვალისწინონ. ამის თეორიული შანსი არსებობს, თუმცა მხოლოდ თეორიული.

როდესაც ეუთო ნახავს, მისი რეკომენდაციების რა ნაწილია გათვალისწინებული, რა დოზითა და ხარისხით, ამაზე შესაბამისი რეაქცია ექნება. დასავლეთს საქართველოში მიმდინარე ყველა პროცესზე რეაქცია რომ აქვს, ეს ბოლო პერიოდმა კარგად დაგვანახა. „ქართულ ოცნებას“ არ ადარდებს არც დასავლეთი და არც სტრატეგიული პარტნიორი, მათთვის მთავარია, რომ როგორმე ჩაებღაუჭონ ძალაუფლებას. ამიტომ ისინი ყველაფერზე მიდიან და ყველაფერზე თანახმანი არიან. არის რაღაცები, რაც კრიტიკულ ზღვარს აღწევს ხოლმე. როგორც კი ბიძინა ივანიშვილის სანქციებზე დაიწყო საუბარი, საკონსტიტუციო ცვლილებები ტაშის კვრით მიიღეს. დანამდვილებით შემიძლია გითხრათ, რომ ამ ცვლილებების მიღება არ უნდოდათ, მაგრამ იძულებულები გახდნენ, რომ მიეღოთ და ტაშიც დაეკრათ, როგორც დიდი ბედნიერების ნიშანი.

სანამ ასეთ კრიტიკულ ვითარებაში და კუთხეში მიყენებულები არ არიან, ისინი არ იღებენ ხოლმე იმ რეკომენდაციას და გადაწყვეტილებას, რომელსაც სტრატეგიული პარტნიორები და მეგობრები ურჩევენ ევროპიდან და აშშ-დან.

ახალი თაობა
გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
სარეკლამო სამსახური – 599-532-690
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი: 599-532-690
ვებგვერდი: www. akhalitaoba.ge ელ.ფოსტა: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

„ოპოზიციას ხელისუფლებაში მოსვლა არ უნდა“

პაატა დავითაია: „მე არ ვერიდები ამაზე საუბარს და თქვენც ღიად გეტყვით, რომ ტაქტიკა არის ოპოზიციაში დარჩენის და არ არის ტაქტიკა ხელისუფლებაში მოსვლის!“

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს პაატა დავითაია პასუხობს.

– ბატონო პაატა, გამოდის ინფორმაციები, რომ ოპოზიციაში ისევ დიდი დაპირისპირებაა, რომ ისევ ვერ თანხმდებიან დარჩენილ მაჟორიტარებზე. ასევე, გაჩნდა ოპოზიციის ოპოზიცია, ეს პროცესები რამდენად გაზარალებთ?

– ოპოზიციის შიგნით დაპირისპირება არ არის. უფრო მეტ დეტალზე ღიად ვერ ვისაუბრებ. ოპოზიციურ ერთობაში, რომელიც ლეიბორისტული ოფისის ფორმატით არის ცნობილი, იქ დაპირისპირება არ არის. კვლავაც მიდის კონსულტაციები. ჩვენ დაპირისპირებას ვხედავთ მათი მხრიდან, ვინც იმ მაგიდიდან ადგნენ და ახლა განცხადებებს აკეთებენ, აი მათ პოზიციებშია სხვაობა. ჯერჯერობით, ყველაფერი არის საკონსულტაციო რეჟიმში, ამ ეტაპზე მხოლოდ ამის თქმა შემიძლია.

– მათზე რას იტყვით, ვინც დაუპირისპირდა ამ ოპოზიციურ ერთობას?

– მოდით ასე ვთქვათ, ყველას აქვს თავისი არჩევანი, ყველას აქვს თავისი გზა. მე არავის გაკრიტიკების უფლება არა მაქვს. მე მიმაჩნია, რომ ვინც ოპოზიციურ ერთობას დაუპირისპირდა, არასწორი გადაწყვეტილება მიიღო პოლიტიკურად. მე ასე ვხედავ ამ საკითხს. რეალურად ეს სწორია თუ არასწორია, ამას გადაწყვეტს ამომრჩეველი არჩევნების დღეს. არასწორი არჩევანია მათი მხრიდან, მაგრამ სიმართლე რომ გითხრათ, მათიც მესმის, რადგან ყველას სურს თავისი პარტიის განვითარება. აქ პრობლემა დგება სხვა რაღაცაში...

– რაში?

– არ მინდა ილუზიებში ვიყო, თუ ერთიანობა არ არის, მაშინ არ შეიცვლება ხელისუფლება! ეს არაა მარტო მაჟორიტარობის თემა. მე ვლაპარაკობ საერთო ოპოზიციურ ფორმატზე. ამას დიდი ხანია ვიძახი. სამწუხაროა, რომ ეს ასე ჯერჯერობით არ გამოდის. მაქსიმალურად ვეცადე, რომ ეს ასე ყოფილიყო, როგორც კოორდინატორმა ერთიანი ოპოზიციური ფორმატის. სამწუხაროდ, წინააღმდეგობები მივიღეთ. ბევრი იმის გამო, რომ ყველას გარკვეული მერკანტილური მიდგომები აქვს, რაც მიმაჩნია, რომ არასწორია. თუ ჩვენ ვსაუბრობთ ხელისუფლების ცვლილებაზე, პირველად მოხდა, რომ დიდი ძალაუფლების და დიდი ფულის სინთეზია დღეს „ქართულ ოცნებაში“. ამიტომ ვიყოთ მართლები და ვთქვათ, რომ ამ დიდ ფულს და დიდ ძალაუფლებას უპირისპირდება მხოლოდ ერთიანობა. დაქსაქსულობა არაფრის მომტანი არ არის. მე ძალიან სიმპათიით ვიყავი განწყობილი თუნდაც თაკო ჩარკვიანის მიმართ, რომელმაც გამოხატა სურვილი, ყოფილიყო საბურთალოს კანდიდატი...

– თუმცა, თაკო ჩარკვიანის კანდიდატურა ევროპული საქართველოსთვის მიუღებელია...

– კი ბატონო, გასაგებია. არ შეიძლება ყველა ერთ აზრზე იყოს. ევროპული საქართველოსთვის რა არის მისაღები, ეს არაა გადამწყვეტი ფაქტორი. ამიტომ ვამბობ, რომ კონსულტაციები კიდევ მიდის და შედეგებს ვნახავთ უახლოეს დღეებში.

– სიძნელეების და დაპირისპირების მიუხედავად, ასე თუ ისე, თბილისში თანხმდებით მაჟორიტარებზე. რა იქნება რეგიონებში?

– იცით, მე რეგიონების საკითხს საკმაოდ რთულად ვუყურებ.

ერთიანი მაჟორიტარული სია ნიშნავს იმას, რომ აუცილებლად შეთანხმება უნდა იყოს ერთიან პროპორციულ სიაზეც. ისე უაზრობაა!

– რატომ?

– საერთოდ, როდესაც მაჟორიტარების თემა დაიწყო, მე ვთქვი, რომ ეს ძალიან რთული თემა იქნება. რატომ? იმიტომ, რომ მიმაჩნია, ეს ფორმატი, პიარულად მომგებიანია, მაგრამ პოლიტიკურად შედეგის მომტანი არ არის. ერთიანი მაჟორიტარული სია ნიშნავს იმას, რომ აუცილებლად შეთანხმება უნდა იყოს ერთიან პროპორციულ სიაზეც. ისე უაზრობაა!

– რატომაა უაზრობა?

– ზოგი ხუთიანს შემოხაზავს, ზოგი 21-ს, ზოგიც 27-ს. ორი სხვადასხვა ციფრის შემოხაზვა უწევს ამომრჩეველს და ეს აბნევს, ეს ტექნიკურად ძალიან ძნელია. ეს იყო ჩემი იდეა, რომ დავანებოთ ასე დაქსაქსულობებს თავი, ვიყოთ ერთიანი ყველაფერში. სამწუხაროდ, არ გამოვიდა. ის, რომ მოხდა შეთანხმება თბილისზე, ეს კარგია, მნიშვნელოვანია პიარულად, მაგრამ პრაქტიკულად, მიმაჩნია, რომ ამით „ოცნება“ უფრო ისარგებლებს.

– თქვენ ფიქრობთ, რომ სიაც ერთიანი უნდა გქონოდათ?

– რა თქმა უნდა! ის ფორმატი, რაც იყო ერთიანი ოპოზიციური ფორმატი, უნდა მოხერხებულიყო მოლაპარაკება, რომ ერთიანი სისტემით მომზდარიყო გასვლა, თუ ვლაპარაკობთ ხელისუფლების ცვლილებაზე. ხოლო თუ ვლაპარაკობთ ოპოზიციაში დარჩენაზე, მაშინ გასაგებია.

– ანუ, ასე ხელისუფლებაში მოსვლის შანსი არ გაქვთ?

– მე არ ვერიდები ამაზე საუბარს და თქვენც ღიად გეტყვით, რომ ტაქტიკა არის ოპოზიციაში დარჩენის და არ არის ტაქტიკა ხელისუფლებაში მოსვლის!

– მიუხედავად იმისა, რომ ოპოზიციის მოთხოვნა შესრულდა და შეიცვალა საარჩევნო სისტემა, მაინც არ გაქვთ შანსი?

– შანსი, რა თქმა უნდა, მცირეა. კიდევ ერთხელ ვიმეორებ, სასწორზე დევს დიდი ფული და დიდი ძალაუფლება ერთად, ხოლო მეორე მხარეს დგას მრავალოპოზიციური სპექტრი. როგორ ფიქრობთ, რომელი გადაწონის?!

– მაშინ ამას რატომ ვერ აცნობიერებს ყველა, ვინც ოპოზიციაშია?

– აი, როგორც მე თქვენ გელაპარაკებით ახლა, აი ასე მაქვს ნალაპარაკევი ღიად, ერთიან მაგიდაზე და აბსოლუტურად ყველგან, სადაც კი შეიძლებოდა. ის არგუმენტი, რომ ჩვენ ცალ-ცალკე შევიდეთ და იქ გავერთიანდეთ, არის ძალიან სუსტი!

– ანუ უნდა ყოფილიყავით ერთი ერთზე ხელისუფლებასთან?

– რა თქმა უნდა! დამთავრდება არჩევნები და მერე გავიხსენოთ ეს ინტერვიუ.

– ბატონო პაატა, საკმაოდ დატვირთული იყო გასული კვირა. პარლამენტმა სამივე მოსმენით მიიღო კონსტიტუციური ცვლილებები, ოპოზიცია კი ამ პროცესებს მიღმა დარჩა. თავადვე ითხოვდით ცვლილებებს და გადამწყვეტ მომენტში საპარლამენტო ოპოზიციამ ზურგი შეაქცია. ეს რამდენად სწორი იყო?

– დასავლეთმა და ჩვენ ვაიძულეთ ხელისუფლება, რომ ასე მოქცეულიყო, მოდით ვთქვათ სიმართლე. შეიქმნა ისეთი სიტუაცია, რომ მნიშვნელობა აღარ ჰქონდა, ხმას მისცემდი თუ არ მისცემდი. ისინი იძულებულები ხდებოდნენ, ეს გაეკეთებინათ. რა თქმა უნდა, ყველა პირობა რომ შეესრულებინათ, რურუა გამოეშვათ. თუმცა რურუამ პირდაპირ მოუწოდა ყველას, ხმა მიეცითო. მე ვერ ვილაპარაკებ იმაზე, ვინც პარლამენტშია, მაგრამ ხმა მაინც მისცა. მაგალითად, ნატო ჩხეიძე, ჩვენთან არის ძალა ერთობაშია, მაგრამ მაინც მისცა ხმა. ეს არაა პრობლემა, მეც რომ ვყოფილიყავი, მივცემდი ხმას. იმიტომ, რომ კონსტიტუციური ცვლილება არის მნიშვნელოვანი. თუმცა ხელისუფლება ისეთ ცაიტნოტში აღმოჩნდა, რომ ვალდებული იყო ეს ცვლილება გაეტარებინათ, არ სიამოვნებდათ, მაგრამ მაინც. თუმცა ძალიან დიდი პრობლემებია კოდექსში, რომელსაც ღებულობენ. დაახლოებით თანაბარი პირობები არაა შექმნილი. ეშმაკი დეტალებშიაო და დეტალებში ეშმაკები ჩასვეს. ამიტომ ვიძახი, რომ ამ დეტალებში ეშმაკებს, ფულს და დიდ ძალაუფლებას შეეწინააღმდეგება მხოლოდ ერთიანობა. დანარჩენი ყველაფერი არის ტყუილი!

– რეგიონებში არ გამოვა ერთიანი კანდიდატები?

– არ გამოვა და ეს კიდევ უფრო დაამძიმებს სიტუაციას. არ მინდა მოვლენებს გავუსწრო, ვნახოთ, რა იქნება. ჯერ ხომ ვხედავთ, რომ თბილისშიც კი არ შევთანხმებულვართ ნორმალურად ყველაფერზე. ყველა უბანზე არ გვყავს კანდიდატი და პლუს ამას ამდენი წინააღმდეგობაა. ამიტომ ერთიანი ფორმატი აღარაა!

– რაზეც შეთანხმდით, იმასაც ხომ არ დაემუქრება საფრთხე?

– ისეთ ქვეყანაში ვცხოვრობთ, ვერაფერს ვერ გამორიცხავ. იმედს ვიტოვებ, რომ – არა.

„ქართულმა მარშმა“ პოლიტიკური პარტია დააარსა

2 ივლისს „ქართულმა მარშმა“ პოლიტიკური პარტია დააარსა.

„ქართული მარშის“ წევრების განცხადებით, პარტია „ქართული მარში – ეროვნული მოძრაობა“ არის მემარჯვენე პოლიტიკური მსოფლმხედველობრივი გაერთიანება, რომელიც შეიქმნა ორი საზოგადოებრივი მოძრაობის, „ქართული მარშისა“ და „გეორგიას“ გაერთიანების საფუძველზე.

– საქართველოში შექმნილი საზოგადოებრივ-პოლიტიკური ვითარებიდან გამომდინარე დღის წესრიგში დადგა ისეთი პოლიტიკური პარტიის შექმნა, რომელიც უზრუნველყოფს სამართლებრივი და დემოკრატიული ქართული სახელმწიფოს მშენებლობას, რომელიც დამყარებული იქნება ეროვნულ მსოფლმხედველობაზე, სადაც უზრუნველყოფილი იქნება ადამიანის ძირითადი უფლებების დაცვა ეთნიკური, კონფესიური, კულტურული და ტრადიციული თვითმყოფადობის შენარჩუნება, ქვეყნის დამოუკიდებლობის განმტკიცება, ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა და, რაც მთავარია, საკუთარ ქვეყანაში საქართველოს მოქალაქისთვის ღირსეულად ცხოვრების პირობების შექმნა, – აცხადებენ „ქართული მარშის“ წევრები.



სადამფუძნებლო ყრილობა ილია ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმის ეზოში გაიმართა. ამ ფაქტს „ევროპული საქართველოს“ პროტესტი მოყვა.

2 ივლისს გამართულ ბრიფინგზე გიორგი კანდელაკი დაინტერესდა, ვინ დაუთმო „ქართულ მარშს“ პრეზენტაციისთვის ილია ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმის ეზო.

„თბილისის სპეცრაზმი მოვარდა, ააწიოკეს სახლი, ხალხი ცუდად გახდა“

სპეცოპერაცია წეროვანში

წეროვანში გენერალი დევი ჭანკოტაძე და მასთან ერთად მყოფი ომის ვეტერანები სამართალდამცველებმა გაჩხრიკეს.

შემთხვევა 1 ივლისს მოხდა. ამის შესახებ ჭანკოტაძემ ნიკა გვარამიას გადაცემაში „მთავარი აქცენტები“ ისაუბრა.

– მე ახლა ვარ წეროვანში, დაახლოებით საღამოს რვა საათზე მოვარდა აქ თბილისის სპეცრაზმი, ჩვენს ბიჭებთან, ააწიოკეს სახლი. ხალხი ცუდად გახდა, მშობლები ჩვენი ბიჭების, დედა გახდა ცუდად. რეალური მიზეზი არის ის, რომ ჩვენი ვეტერანები, 2008 წლის ომის გმირები არიან, ბოლომდე ომობდნენ იქ რუსი ოკუპანტების წინააღმდეგ. აქ არიან ლტოლვილები, ყველაზე გაჭირვებული ხალხი იპოვეს, დაადგნენ და სპეცოპერაციას ატარებენ.

იარაღს ეძებდნენ, მე ამას დავარქმევ პოლიტიკურ დევნას. მე, როგორც ამ ომის მონაწილე, ვეტერანი, ამ ბიჭებს ვუვლი, ვეკითხები, რა გაჭირვება აქვთ, როგორ ცხოვრობენ, რითი შეიძლია დავეხმარო.. პერიოდულად ვხვდები, რომ გავიგო, რა სიტუაციაში არიან და ეტყობა, ამ პოლიტიკური მიზეზით დაარტყეს დღეს და ჩაუტარეს სპეცოპერაცია.

როგორც ბიჭები ამბობენ, რაღაც ორდერი გვანახესო. არ იციან ამათ, მაგრამ ჩხრეკის ორდერი ჰქონდათ და ერთი საათის განმავლობაში, გადაატრიალეს სახლი, – განაცხადა გენერალმა დევი ჭანკოტაძემ.

ვისაც სიაში ყოველი მე-3 ქალი ეყოლება, დაფინანსება 30%-ით გაეზრდება

დასაწყისი მე-2 გვერდზე

ცვლილებების თანახმად, ზუსტდება საოლქო საარჩევნო კომისიების მიერ საუბნო კომისიის წევრთა არჩევის პროცედურები.

კერძოდ, საუბნო საარჩევნო კომისიებში არაპარტიული ნიშნით წევრთა არჩევა მოხდება შესაბამისი საოლქო საარჩევნო კომისიის არაპარტიული ნიშნით არჩეულ წევრთა უმრავლესობის მხარდაჭერით. ამასთან, საუბნო კომისიებთან მიმართებით ფართოვდება ჩანაწერი ინტერესთა კონფლიქტის გამორიცხვაზე.

უფრო კონკრეტულად, თუკი საოლქო საარჩევნო კომისიის წევრი საუბნო საარჩევნო კომისიის წევრობის კანდიდატის ოჯახის წევრია, მას არჩევის პროცედურაში მონაწილეობის უფლება ეკრძალება.

კანონპროექტის თანახმად, ოჯახის წევრად მიჩნეულია: მეუღლე, პირდაპირი აღმავალი ან დამავალი შტოს ნათესავი, გერი, და, ძმა, მშობლის ან შვილის გერი, მეუღლის და, ძმა, მშობელი.

ასევე, დაუშვებელი ხდება საუბნო საარჩევნო კომისიის წევრად იმ პირის არჩევა, რომელიც ბოლო საერთო არჩევნებში ნებისმიერი დონის საარჩევნო კომისიის წევრად დანიშნული იყო პოლიტიკური პარტიის მიერ.

ცვლილებები ეხება გენდერული კვოტირების საკითხებსაც.

კერძოდ, 2028 წლამდე ჩასატარებელ საპარლამენტო არჩევნებში პარტიამ ცესკოს თავმჯდომარეს უნდა წარუდგინოს ისეთი პარტიული სია, რომლის ყოველ ოთხეულში ერთი კანდიდატი მაინც იქნება განსხვავებული სქესის წარმომადგენელი, ხოლო 2028 წლიდან 2032 წლამდე ჩასატარებელ საპარლამენტო არჩევნებში პარტია ვალდებული იქნება, ცესკოსთვის წარდგენილ სიაში ყოველი სამი კანდიდატიდან ერთი მაინც იყოს განსხვავებული სქესის.

აღსანიშნავია, რომ პარტია, რომელიც 2018 წლამდე ჩატარებული პარლამენტის არჩევნების საფუძველზე იღებს დაფინანსებას, მიიღებს ასევე დანამატს მისაღები დაფინანსების 30%-ის ოდენობით, თუ მის მიერ პარლამენტის ბოლო არჩევნებზე წარდგენილ პარტიულ სიაში, ყოველ სამეულში ერთი კანდიდატი მაინც განსხვავებული სქესისაა. დანამატი პარტიის ქალთა ორგანიზაციის საქმიანობისთვის უნდა იყოს გამოყენებული.

ცვლილებების თანახმად, ბლოკში შემავალი პარტიების სახელმწიფო დაფინანსების განაწილების წესი ბლოკის წესდებით შეიძლება განისაზღვროს.

საარჩევნო კოდექსის პროექტით გათვალისწინებულია საქართველოს პარლამენტის 2020 წლის არჩევნებში ეტლით მოსარგებლე ამომრჩეველთა მონაწილეობის დროებითი წესის განსაზღვრა. აღნიშნულის თანახმად, საარჩევნო უბნების ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად მოხდება შშმ პირთათვის უბნების ადაპტირება – თითოეულ ოლქში არანაკლებ 4-4 უბანი ეტლით მოსარგებლეთათვის.

ზემოაღნიშნული ცვლილებების გარდა, საარჩევნო კოდექსი შესაბამისობაში მოდის საქართველოს კონსტიტუციასთან. კერძოდ, კოდექსში მოხდება საარჩევნო სისტემის ცვლილებასთან დაკავშირებული საკითხების ასახვა, რაც გულისხმობს: 2020 წლის საპარლამენტო არჩევნების შერეული საარჩევნო სისტემითა (120 პროპორციული, 30 მაჟორიტარული) და 1%-იანი ბარიერით ჩატარებას; ე.წ. 40%-იან ჩამკეტ მექანიზმს; გაუნაწილებელი მანდატების განაწილებას უდიდესი ნაშთის მქონე პოლიტიკურ პარტიებსა და საარჩევნო ბლოკებზე.

შევიძენ

ძველ ანტიკვარულ ნივთებს, ნახატ სურათებს, ძველ წიგნებს და ფაიფურს.

ტელ.: 598-43-98-57

ჯონდი ბაღათურია: „ძლიერ პარტიებს ვთხოვთ, თავიანთი სარეკლამო დროის გამოყენების უფლება მოგვცენ“

გულიკო ბალაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს „ქართული დასის“ ლიდერი ჯონდი ბაღათურია პასუხობს.

– ბატონო ჯონდი, პარლამენტი საარჩევნო კოდექსში ცვლილებებს განიხილავს. ცვლილებები პირველი მოსმენით უკვე მიიღეს. რამდენადაც ვიცი, საკომიტეტო მოსმენასაც ესწრებოდით და იქ გარკვეული კითხვებიც გქონდათ. როგორ აფასებთ საარჩევნო კოდექსში ცვლილებებს და რა შენიშვნები გაქვთ?

– საკონსტიტუციო რეფორმა გაბედული, პროგრესისკენ წინგადადგმული ნაბიჯია. საარჩევნო კოდექსში ცვლილებებიც ძალიან მნიშვნელოვანი და წინგადადგმული ნაბიჯია პარტიული მრავალფეროვნებისკენ, მაგრამ ეს ყველაფერი 2020 წლის შემდგომი პერიოდისთვისაა.

– როგორ?

– პოლიტიკურმა პარტიამ 2020 წელს თავისი საარჩევნო პროგრამის ამომრჩევლამდე მიტანა რამენაირად რომ მოახერხოს, ამის საშუალება, ჯერჯერობით, არ ჩანს. ამიტომ ვცდილობთ, ხელისუფლება დავარწმუნოთ. სრული თანაბრობის ილუზია არ გვაქვს, მაგრამ რაღაცნაირად, ჩვენისთანა პარტიებს ელემენტარული სარეკლამო დროისა და დამკვირვებლის დანიშვნის საშუალება უნდა მიეცეს.

მიუხედავად იმისა, „ქართული ოცნება“ და ნაციონალური მოძრაობა ფინანსურად საკმაოდ ძლიერი პარტიები არიან, ყოველწლიურად ბიუჯეტიდან მრავალ მილიონს იღებენ, საარჩევნო კამპანიის დროს უფასო სარეკლამო დროის ლიმიტი აქვთ, საარჩევნო კომისიებში კომისიის წევრები და კიდევ დამკვირვებლები ჰყავთ.

ვაყენებთ საკითხს, ჩვენ მხოლოდ ერთი დამკვირვებლის ყოლის საშუალება და უფლება მოგვცენ. ეს სამართლიანი და გასაგებია. ვითხოვთ, მოგვეცეს საშუალება, სარეკლამო დროის განაწილებაში მივიღოთ მონაწილეობა პარტიებმა, რომლებსაც წარსულში გვქონდა კვალიფიციური სუბიექტის სტატუსი და ადგილობრივ არჩევნებში საარჩევნო სუბიექტად ვიყავით რეგისტრირებული, ამ საკითხების გადაჭრა ქვეყნის განვითარებისთვის წინგადადგმული ნაბიჯი იქნება.

– გარედან ისე ჩანდა, რომ საარჩევნო კოდექსში (ცვლილებების მთელი ჩამონათვალია), ყველასათვის მოსაწონი ცვლილებები ხორციელდებოდა 2020 წლის არჩევნებისთვის.

– არა, 2020 წლის არჩევნების შედეგების მიხედვით, პოლიტიკურ პარტიებზე შემდეგ გადანაწილდება ის პრეფერენსიები, რაც პროექტითაა წარმოდგენილი. ძალიან სამართლიანია, მაგრამ 2020 წლის არჩევნებში პარტიებმა შედეგები რომ დადონ, პროგრამები ამომრჩევლამდე მიიტანონ, პოლიტიკურ პარტიებს საშუალება ხომ სჭირდებათ.

– კონკრეტულად, რა საშუალებებზე საუბრობთ?

– პირველ რიგში, მედიასაშუალებებში სარეკლამო დროს გამოყოფაზე. ასევე, ხმები რომ დავიცვათ, საარჩევნო უბანზე ერთი წარმომადგენელი ხომ უნდა გყავდეს? ამას ვითხოვთ. „ოცნებას“ და ნაცებს კომისიებში ორჯერ მეტი წევრი ჰყავთ. ამას პლუს კიდევ დამკვირვებლები, რომლიც ბიუჯეტიდან ფინანსდებიან.

ჩვენ ვეუბნებით: თქვენ, ძლიერ პარტიებს, საშუალება გაქვთ, თქვენი დამკვირვებელი და სარეკლამო დრო ბიუჯეტიდან დაფინანსდეს, ამაში ჩვენც მიგვაღებინეთ მონაწილეობა. თუ არადა, აბსოლუტურად შეუძლებელი გახდება სამართლიანი საარჩევნო კამპანიის ჩატარება. გამოვა, რომ ეს ყველაფერი, უბრალოდ, ქაღალდზეა დაწერილი და სხვა არაფერი.

– რას გპასუხობენ?

– ჯერჯერობით, საკმაოდ დამაიმედებლად მიდის პროცესი. საბოლოო მიღებამდე გამოჩნდება, ხელისუფლება რისთვის არის მზად. თუკი ამის საშუალება ჩვენ არ მოგვეცა, განხორციელებული ცვლილებები იქნება კოსმეტიკური და ფასადური.

– საარჩევნო კამპანიის წესები რომ იცვლება, ეს ახლანდელ საარჩევნო კამპანიას არ ეხება?

– ეს ზუსტად ახლანდელ საარჩევნო კამპანიას ეხება. მე ვლაპარაკობ პრეფერენციებზე.

– სახელისუფლებო რესურსის გამოყენების აკრძალვაზე ჩანაწერი?

– რამდენიმე საკითხის გარდა, ცვლილებების აბსოლუტური უმრავლესობა საარჩევნო კოდექსში, აშკარად პროგრესული, სამართლიანია, მაგრამ ძირითადად განკუთვნილია მომავალი ცხოვრებისთვის. მომავალ ცხოვრებამდე, ნათელ მომავლამდე რომ მივაღწიოთ, ელემენტარული საშუალება გვჭირდება, საარჩევნო პროგრამა და ჩვენი ხმა ამომრჩევლამდე მივიტანოთ.

ამისთვის გვჭირდება, პირველ რიგში, სარეკლამო დრო. გვინდა სარეკლამო დროის განაწილებაში მივიღოთ მონაწილეობა, რასაც ყველა პარტია მხარს უჭერს და თითო საარჩევნო უბანზე თითო დამკვირვებლის დანიშვნის უფლება მოგვცეს ხელისუფლებამ, რათა საარჩევნო უბანზე, დათვლის დროს, ჩვენი ხმები არ მიიტაცონ.

წინააღმდეგ შემთხვევაში, ჩვენ ხმებს ვინ დაიცავს. თუ ვინმე ფიქრობს, „ქართული ოცნება“ და ნაცმოძრაობა ჩვენ ხმებს დაიცავს, ილუზიაა. ამიტომ გვინდა, ჩვენი ერთი წარმომადგენელი საარჩევნო უბანზე იყოს. საკმაოდ მოკრძალებული მოთხოვნები გვაქვს. ხელისუფლებისთვის ეს იქნება ტესტი.

– რისი ტესტი იქნება?

– ტესტი იმისა, რამდენად ფიქრობს ხელისუფლება, მივიღოთ მრავალპარტიული პარლამენტი და შეიქმნას პლურალისტური, კონკურენტული სივრცე. კონკურენციის გარეშე ბიზნესში და, განსაკუთრებით, პოლიტიკაში პროდუქტი არის მდარე და მომხმარებელი წაგებულია.

პოლიტიკაში მომხმარებელი არის ამომრჩეველი, ანუ ხალხი, რომელიც იმსახურებს მიიღოს ხარისხიანი პოლიტიკური პროდუქტი. ხარისხიან პოლიტიკურ პროდუქტს ვერ მივიღებთ, თუ არ იქნება ჯანსაღი პოლიტიკური კონკურენცია და მეტ-ნაკლებად კონკურენტული გარემო.

– მუდმივად იყო დავა იმაზე, კოორდინატორები უნდა ყოფილყვნენ თუ არა საარჩევნო უბნების სიახლოვეს. თუმცა, კანონი არ კრძალავდა. ახლა, მგონი, იკრძალება კოორდინატორების ყოფნა საარჩევნო უბნების სიახლოვეს.

– კოორდინატორების ყოფნა საარჩევნო უბნის სიახლოვეს აკრძალული არ არის, მაგრამ თუ ნაცმოძრაობა და „ქართული ოცნება“ თავის კოორდინატორებს ხელფასს ბიუჯეტიდან უხდის, ჩვენც ვაყენებთ საკითხს, ჩვენს კოორდინატორებსაც ჰქონდეთ ხელფასი, ჩვენმა კოორდინატორებმა უხელფასოდ რატომ უნდა იმუშაონ.

– კენჭისყრის შენობიდან 25 მეტრის რადიუსში ამომრჩეველთან კონტაქტის აკრძალვაზე რომ არის საუბარი?

– ეს საკმაოდ რაციონალური წინადადებებია, რომელიც ბატონმა კობახიძემ პოლიტიკურ სპექტრს შესთავაზა. რამდენიმე საკითხის გარდა, დავა ამ ცვლილებების ირგვლივ აბსოლუტურად აბსურდულად მიმაჩნია. ნაცმოძრაობა აშკარად ცდილობდა საკონსტიტუციო ცვლილებების ჩაგდებას. ახლა კი, აშკარად ბოიკოტირებს საარჩევნო კოდექსში ცვლილებებს.

– ნაცმოძრაობას ძველი საარჩევნო კოდექსი აწყობს და რურუა მათთვის ძალიან ღირებული და ძვირფასია?

– რა თქმა უნდა, ძველი საარჩევნო სისტემა და საარჩევნო კოდექსი ნაცმოძრაობას და მის განაყოფ ნაცებს ჰაერივით სჭირდებათ. გარდა ამისა, მათ სჭირდებათ დესტრუქციული გარემო. არსებითი, შინაარსობრივი პოლემიკა ნაცმოძრაობას არ აწყობს.

შინაარსობრივ პოლემიკას რომ დათანხმდეს, ნაცმოძრაობას ვინ დაუჯერებს, ვთქვათ, საარჩევნო რეფორმაზე რომ ილაპარაკოს, მათთვის წამგებიანია. 9 წელი მართავდნენ ქვეყანას და დაქცევის პირას მიიყვანეს.

მათი აზრით, ძალიან პრიმიტიული, მაგრამ ეფექტური საარჩევნო პროცესის წარმართვა დესტრუქციაა, თავს რომ დაესხან „ქართულ ოცნებას“ და თეატრალიზებული სცენები მოაწყონ. რა თქმა უნდა, ეს ორივეს აწყობს, რადგან ამით შუა იკრიფება.

– დაფინანსების წესი როგორ მოგწონთ, ვთქვათ, პარტიას 1 ხმაზე 15 ლარი რომ ეძლევა?

– დაფინანსების წესი აბსოლუტურად სამართლიანი და ობიექტურია, რომლის სიკეთეს პარტია 2020 წლის არჩევნების შედეგად მიიღებს. ეს არის სამართლიანი და პროგრესული პროექტი. ვინც ამ პროექტის წინააღმდეგ მიდის, ის წარსულზე, რეგრესზე და დესტრუქციაზეა ორიენტირებული. უბრალოდ, ეს პროექტზეა დამოკიდებული, როგორი შედეგი იქნება და როგორი პოლიტიკური სივრცე შეიქმნება.

2020 წელს რომ ჩავატაროთ არჩევნები, ვიმეორებ, პარტიებს სჭირდებათ სარეკლამო დრო და ერთი დამკვირვებელი უბანზე, რომ დათვლის დროს ჩვენი აღებული ხმები არ მიითვისოს ნაცმოძრაობამ ან რომელიმე სხვა პარტიამ.

– ზოგადად, „ქართულ დასს“ ეს ცვლილებები რას მოუტანს, თქვენ რას ელოდებით?

– „ქართული დასი“ კი არა, ოდნავ მოაზროვნე ადამიანი ამ საარჩევნო ცვლილებებს აუცილებლად შეაფასებს, როგორც პროგრესულს. ეს უდავოა. ამ პროექტს ჩვენ მხარს ვუჭერთ, ოღონდ, იმისათვის, რომ ამ არჩევნებზე ახალი პოლიტიკური რეალობა შეიქმნას, ელემენტარული საშუალებებია საჭირო საარჩევნო კამპანიის საწარმოებლად.

– როგორ ფიქრობთ, საარჩევნო კოდექსში ცვლილებების შემდეგ პოლიტიკური ვითარება დამშვიდდება?

– ნაცმოძრაობას და მის მედიასაშუალებებს არჩევანი არ აქვთ.

– რატომ?

– მათ მშვიდ, შინაარსობრივ, თემატურ საკითხებზე მსჯელობის გარემოში არსებობა არ შეუძლია. ამიტომ მათთვის ჰაერივით მნიშვნელოვანია დესტრუქციული გარემო.

– მაშინ, წესით, მათთვის ჰაერივით მნიშვნელოვანია გიორგი რურუას ყოფნა პატიმრობაში, რომლის გათავისუფლებასაც ისინი მოითხოვენ.

– ეს პრობლემა თუ მოიხსნება, სხვა ახალ პრობლემას მოიგონებენ. ვერ ხედავთ, იმ რეფორმის წინააღმდეგ მიდიან, რომელსაც თვითონ ითხოვდნენ. ხმა არ მისცეს იმ პროექტს, რომელსაც თვითონ ითხოვდნენ. ახლა პარლამენტში ვარ და ვხედავ, სხდომაზე არ შედიან და საარჩევნო კოდექსში ცვლილებებს მხარს არ უჭერენ. ხვალ რას წაიფანტაზიორებენ და რას მოიგონებენ, როგორ გითხრათ.

უგულავა: „ელისაშვილი ოპოზიციის ოპოზიციად ჩამოყალიბდა“

ელისაშვილი მხოლოდ მთაწმინდის ბინადრებთან აპირებს კოალიციის გაკეთებას.

ამის შესახებ „ევროპული საქართველოს“ გენერალურმა მდივანმა, გიგი უგულავამ განაცხადა.

უგულავას თქმით, პარტიაში „ლელოსთან“ თანამშრომლობას განიხილავენ, „სამოქალაქო მოძრაობის“ და ახლა უკვე პარტია „მოქალაქეების“ თავმჯდომარე ალეკო ელისაშვილი კი ოპოზიციის ოპოზიციად ჩამოყალიბდა.

– „ლელო“ თავის შეხედულებებში მკაფიოა, ჩვენ მათთან თანამშრომლობა გვაქვს. რაც შეეხება ალეკო ელისაშვილს, ის მხოლოდ მთაწმინდის ბინადრებთან აპირებს კოალიციის გაკეთებას. ჯერჯერობით ჩვენ არც მთაწმინდაზე განვიზენებთ და არც სიკვდილს ვაპირებთ. მან განაცხადა, რომ არ აპირებს თანამშრომლობას, ოპოზიციის ოპოზიციად ჩამოყალიბდა, ასეთ ვითარებაში, ცხადია, ძალიან რთული იქნება თანამშრომლობა, – აღნიშნა გიგი უგულავამ.

შეგახსენებთ, რომ რამდენიმე დღის წინ ალეკო ელისაშვილმა განაცხადა, რომ კოალიციის შექმნას ვისთანაც ისურვებდა, მათი ძირითადი ნაწილი უკვე მთაწმინდის პანთეონშია დაკრძალული.

ოკუპირებულმა აფხაზეთმა რუსეთთან საზღვრის ჩაკეტვა 15 ივლისამდე გააგრძელა

მარიამ მჭედლიშვილი

„თუ საზღვარი არ გაიხსნა, გედის ზაფხული გვექნება“

ჯანდაცვის საჭიროებებიდან გამომდინარე, ოკუპირებული აფხაზეთის ფაქტობრივმა პრეზიდენტმა ასლან ბჟანიამ ფსოუზე საზღვარზე მიმოსვლის შეზღუდვა 15 ივლისამდე გააგრძელა. აფხაზეთში შემოსვლის უფლება ჯერჯერობით მხოლოდ აფხაზეთის მოქალაქეებს, იქ მივლინებულ რუს სამხედროებს, დიპლომატებს და მათ ოჯახებს აქვთ.

ტურიზმის სფეროსთან გადაბმული სარესტორნე ბიზნესი კოვიდ-19-ის გამო შემოღებული რეგულაციების შემდეგ მაისის ბოლოს გაიხსნა, თუმცა, კვების ობიექტები კლიენტების სიმცირეს უჩივიან. განსაკუთრებით ზარალდებიან მსხვილი რესტორნები.

რესტორან „აპრას“ მთავარი აქციონერი რუსლან ჯოპუა აცხადებს, რომ მისი ობიექტი „მინუსებშია“, წაგებაზე მუშაობს. ამ ეტაპზე ხერხდება თანამშრომლებისათვის ხელფასებისა და იჯარის საფასურის გადახდა, თუმცა, თუ საქმე ცუდად წავიდა, შეიძლება ეს ვერ მოხდეს.

რესტორნის მეპატრონე მადლიერია, რომ კვების ობიექტებს კარანტინის დროს ორი თვით იჯარა არ გადაახდევინეს. ამასთან, იგი აცხადებს, რომ მთავრობამ ბიზნესს სხვა შეღავათებიც უნდა დაუწესოს – კერძოდ, იჯარის საფასურის, კომუნალური და სხვა სახის გადასახადების შემცირება.

რა სახის ჰუმანიტარული დახმარება ჩავიდა კორონაკრიზისის დროს აფხაზეთში?

– თუ საზღვარი არ გაიხსნა, მაშინ რესტორანი დაიხურება. ხალხი მოდის, მაგრამ ადგილობრივებს ფული არა აქვთ, საზღვარი კი დაკეტილია. თუ არაფერი შეიცვალა, „გედის ზაფხული“ გვექნება, – ამბობს რესტორნის მეპატრონე.

კორონავირუსის გამო ეკონომიკა მთელ მსოფლიოში დაზარალდა. აფხაზეთის თავისებურება იმაშია, რომ აქაურები დამსვენებლებისა და დამთვალიერებლების გამოჩენის იმედს არ კარგავენ.

დაგეგმილია, ძალაში დარჩება ე. წ. „ერთიანი ბილეთის“ სისტემა. ამ ბილეთით რუსეთის მოქალაქეებს შეუძლიათ რკინიგზით ადლერში ჩასვლა, შემდეგ ავტობუსით ან თვითმფრინავით სოჭში გადაადგილება, ბოლოს კი – ავტოტრანსპორტით აფხაზეთში გამომგზავრება.

ამ მარშრუტით უფრო მეტად სარგებლობენ ექსკურსანტები. ოპტიმისტები აფხაზეთის სანაპიროზე ხანგრძლივი დასვენების მსურველებსაც ელიან. თუმცა, ბევრი ადამიანი აღიარებს, რომ წელს აფხაზეთში ტურისტული სეზონი ჩავარდნილია. ადამიანებს შიმშილის საფრთხე აფიქრებთ. რამდენიმე მოქალაქემ დაასკვნა, რომ არ ეთანხმება გამოთქმას „რაც არ გვკლავს, გვაძლიერებს“, ვინაიდან, კატასტროფა ძნელად ასატანია.

ოკუპირებული რეგიონის მთავრობა გაეროს დახმარებას მომავალშიც მოელის. პანდემიის დროს (პირველ კვარტალში) გაეროს განვითარების პროგრამის ფარგლებში აფხაზეთში 5 მსხვილი ჰუმანიტარული ტვირთი შევიდა.

აფხაზეთში ამაზე არ საუბრობენ, მაგრამ საერთაშორისო ორგანიზაციებს ოკუპირებული რეგიონის დახმარების გაწევისკენ საქართველოს ხელისუფლებამ მოუწოდა.

დახმარებაში შედიოდა ინდივიდუალური დაცვისა და ელემენტარული დიაგნოსტიკის საშუალებები, დამცავი კომბინეზონები, სადეზინფექციო ხსნარები, ქირურგიული და ქსოვილის ნიღბები, ფილტრიანი რესპირატორები, ჩვეულებრივი და უკონტაქტო თერმომეტრები, ასევე დიაბეტის სამკურნალო, შიდსისა და ტუბერკულოზის საწინააღმდეგო მედიკამენტები.

დე ფაქტო პრემიერი ალექსანდრე ანქვაბი აცხადებს, რომ აფხაზეთი ამისათვის მოუმზადებელი აღმოჩნდა. ამიტომ აუცილებელია დაიხვეწოს მექანიზმი ჰუმანიტარული ტვირთების მისაღებად.

ყელგამოჭრილი დავით სვიანაძე აივანზე ცოლმა იპოვა

ბრალდებული ჰასან დოგანი დანაშაულს არ აღიარებს

გორში, ბერუაშვილის ქუჩაზე პოლიციელ დავით სვიანაძის მკვლელობის შესახებ „ახალი თაობა“ უკვე წერდა.

მკვლელობის ირგვლივ ახალი დეტალები გაირკვა.

კერძოდ, მცხოვრებლებმა 30 ივნისს ღამის 2 საათზე ქალის ყვირილი გაიგეს. დახმარებას პოლიციელ დავით სვიანაძის ცოლი ითხოვდა, რომელმაც ყელის არეში დაჭრილი მეუღლე სახლის აივანზე აღმოაჩინა.

ერედვის პოლიციის ინსპექტორ-გამომძიებელი კლინიკაში შეყვანამდე გარდაიცვალა.

პოლიციელს სასიკვდილო ჭრილობები, სავარაუდოდ, ამავე სახლში მცხოვრებმა მდგმურმა მიაყენა. 31წლის ჰასან დოგანმა სავარაუდო დანაშაულის ჩადენის შემდეგ ტერიტორია დატოვა, თუმცა, ადგილზე დარჩა დანაშაულის იარაღი – დანა.

პროკურატურამ მას ბრალი წაუყენა

დოგანმა თანამშრომელთან ერთად სვიანაძის კერძო სახლში ერთი სართული დაახლოებით 8 თვის წინ იქირავა. ისინი გორში, კომბინატის დასახლებაში მდებარე მუყაოს ყუთების მწარმოებელი კომპანიის თანამშრომლები არიან.

თანამშრომელზე საუბარი არ სურთ „ჯეო სოლუშენ კომპანიში“, სადაც დოგანი მუშაობდა. კომპანიაში წილს უცხო ქვეყნის მოქალაქეც ფლობს. 31 წლის მამაკაცი, სამუშაოდ, სავარაუდოდ, მას ჰყავდა ჩამოყვანილი.

31 წლის ჰასან დოგანი ბრალს არ აღიარებს. ადვოკატის თქმით, მისი დაცვის ქვეშ მყოფს რამდენიმე სახის ექსპერტიზა ჩაუტარდა.

2 ივლისს შიდა ქართლისა და მცხეთა-მთიანეთის საოლქო პროკურატურამ, განზრახ მკვლელობის ფაქტზე, თურქეთის მოქალაქე ჰასან დოგანს ბრალდება წარუდგინა.

შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ ჩატარებული გამოძიებით დადგინდა, რომ 2020 წლის 1 ივლისს, ღამის საათებში, ბრალდებულმა ჰ.დ.-მ ქ.გორში, პოლიციის თანამშრომლის დ.ს.-ს საცხოვრებელ სახლში, სადაც იგი მდგმურად იმყოფებოდა, სიცოცხლის მოსპობის მიზნით, დანის გამოყენებით, კისრის არეში ჭრილობა მიაყენა მძინარე დ.ს.-ს, რომელიც შემთხვევის ადგილზე გარდაიცვალა.

სამართალდამცველებმა ბრალდებული იმავე დღეს დააკავეს.

პროკურატურამ ჰ.დ.-ს ბრალდება განზრახ მკვლელობის ფაქტზე, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 109-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით წარუდგინა, რაც გულისხმობს მკვლელობას დამნაშავისათვის წინასწარი შეცნობით უმწეო მდგომარეობაში მყოფის მიმართ.

ჰ.დ.-სთვის წარდგენილი ბრალდება 13-დან 17 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

სისხლის სამართლის საქმეზე გამოძიება გრძელდება. პროკურატურამ ბრალდებულ ჰ.დ.-ს მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის გამოყენების თაობაზე გორის საქალაქო სასამართლოს უკვე მიმართა.

ვის ეკუთვნის შავი წინდები და ფეხსაცმლის საფენები, რომლებიც არაგვის ხიდის ქვეშ იპოვეს

19 წლის ფეხბურთელის, გიორგი შაქარაშვილის გარდაცვალების ათტომიანი საქმიდან ირკვევა, რომ 25 ივნისს, მდინარე არაგვის ხიდის ქვეშ, ნაპირზე ჩატარებული ადგილმდებარეობის დათვალიერების შემდეგ, ნაპოვნია შავი ფერის წინდები და შავი ფერის ფეხსაცმლის საფენები.

ამოღებული ნივთები 25 ივნისსვე გადაიგზავნა ქიმიურ და ბიოლოგიურ ექსპერტიზაზე იმის დასადგენად, ხომ არ აღინიშნება სისხლის კვალი და ბიოლოგიური მასალა წინდებსა და ფეხსაცმლის საფენებზე.

რადიო თავისუფლების მიერ მოპოვებულ დოკუმენტში ჩამოთვლილია გამოძიების ის კითხვები, რომლებსაც ექსპერტიზის დასკვნამ უნდა გასცეს პასუხი:

არის თუ არა ნაპოვნ ნივთებზე გენეტიკური პროფილი? დადებითი პასუხის შემთხვევაში ექსპერტიზას წარედგინება შესადარებელი ნიმუში.

აღენიშნება თუ არა ნივთებს დაზიანებების რაიმე კვალი და შეიძლება თუ არა ეს დაზიანებები განვითარებულიყო სიმაღლიდან ვარდნის შედეგად?

აღენიშნება თუ არა წინდებსა და საფენებს დენთის კვალი?

და აღენიშნება თუ არა ნივთებს ხელის კვალი?

არაგვის ნაპირზე აღმოჩენილი წინდებისა და ფეხსაცმლის საფენების შესახებ ამ დრომდე არაფერი იყო ცნობილი. გიორგი შაქარაშვილის გარდაცვალების საქმეში ფიგურირებდა მხოლოდ შავი ფერის სპორტული ჩანთა, რომელიც გამოძიებამ 19 ივნისს, მაშინ აღმოაჩინა ხიდის საყრდენ სვეტზე შემოდებული, როდესაც საქმის ერთ-ერთ მთავარ მოწმესთან, გურამ ამირხანაშვილთან ერთად, საგამოძიებო ექსპერიმენტს ატარებდა.

დადასტურებულია, რომ შავი ჩანთა სწორედ გიორგი შაქარაშვილს ეკუთვნოდა. თუმცა, როგორ აღმოჩნდა ჩანთა ხიდის საყრდენ სვეტზე, ამის შესახებ გამოძიება კვლავ მიმდინარეობს. თავად ჩანთა, ისევე, როგორც წინდები, გადაგზავნილია ექსპერტიზაზე.

გიორგი შაქარაშვილის ცხედრის აღმოჩენისა და დათვალიერების ოქმში დეტალურადაა აღწერილი, რა ეცვა და რა მდგომარეობაში იპოვეს ცხედარი მყვინთავმა-მაშველებმა. მაშველებისა და ექსპერტების მიერ ხელმოწერილ ოქმში მითითებულია, რომ გიორგი შაქარაშვილს „აცვია შავი შორტი, მომწვანო ორნამენტებიანი მოკლესახელოებიანი დღის პერანგი, ჰკიდია მოყვითალო ფერის ძეწკვი და ასეთივე ფერის ჯვარი“, თუმცა, ოქმში არაფერი ნათქვამი იმის შესახებ, ეცვა თუ არა ცხედარს წინდები და ფეხსაცმელი.

გიორგი შაქარაშვილის გარდაცვალების საქმეზე გამოძიება სამი მუხლით მიმდინარეობს: თავისუფლების უკანონოდ აღკვეთის, ძალადობის და ჯგუფური ძალადობის ორგანიზების მუხლებით. საქმეზე 17 პირს აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა აქვს შეფარდებული.

გიორგი შაქარაშვილის გაუჩინარების შესახებ ოჯახმა პოლიციას 19 ივნისს მიმართა. ოთხდღიანი საძიებო სამუშაოების შემდეგ, 22 ივნისს, ის მდინარე არაგვში, გარდაცვლილი იპოვეს.

სუსმა უცხოური საწარმოს თანამშრომელი დააკავა

სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ანტიკორუფციული სააგენტოს თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, კომერციული მოსყიდვის ფაქტზე უცხოური საწარმოს მსს „საფეჯის მუდმივი დაწესებულების“ თანამშრომელი დააკავეს.

სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ანტიკორუფციულ სააგენტოში კომერციული მოსყიდვის ფაქტზე გამოძიება 2020 წლის 23 მაისს დაიწყო.

გამოძიებით დგინდება, რომ მსს „საფეჯის მუდმივი დაწესებულების“ საქართველოს წარმომადგენლობის თანამშრომელი ზედამხედველობას უწევდა, ქ. ფოთში, შპს „ტაჰალ გრუპ ბ.ვ.“-ისა და მისი ქვეკონტრაქტორი კომპანიების მიერ საკანალიზაციო ქსელის მშენებლობის პროცესს. იმ მოტივით, რომ საზედამხედველო კომპანიის თანამშრომელს, ინფრასტრუქტურულ პროექტში ჩართული კომპანიის შპს „პოზიტივ ფაილის“ მფლობელისათვის პრობლემები არ შეექმნა, გაჭიანურებული სამუშაოების შესახებ დამკვეთისთვის არ ეცნობებინა და სამშენებლო სამუშაოების წარმოებისას გამოვლენილ უზუსტობებზე რეაგირება არ მოეხდინა, შპს-ს ხელმძღვანელს 2018 წლიდან დღემდე ეტაპობრივად მოსთხოვა და გამოართვა 44.000 ლარი.

გამოძიება კომერციული მოსყიდვის ფაქტზე მიმდინარეობს (საქართველოს სსკ-ის 221-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნებით), რაც სასჯელის სახით ოთხიდან ექვს წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებას აწარმოებს საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ანტიკორუფციული სააგენტო.

შალვა გოგოლაძეს, რომელმაც 24 წლის ქალის დაწვა სცადა, პატიმრობა შეეფარდა

თბილისის საქალაქო სასამართლოში 2 ივლისს გაიმართა სხდომა, რომელზედაც შალვა გოგოლაძისთვის აღმკვეთი ღონისძიების შეფარდების შესახებ იმსჯელეს.

შალვა გოგოლაძეს ბრალად ედება, რომ არარეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფ 24 წლის ქალს ბენზინი შეასხა და შორიდან უყურებდა, თუ როგორ იწვოდა ის.

აღნიშნულის შესახებ საქმის პროკურორმა ლაშა გამყრელიძემ სასამართლო პროცესზე საკუთარ შუამდგომლობაში განაცხადა.

პროკურორის განმარტებით, გოგოლაძემ ეჭვიანობის ნიადაგზე გადაწყვიტა, გოგონა დაესაჯა.

– კერძოდ, მას თავდაპირველად აგინა და ხელი სახის არეში გაარტყა, შემდეგ კი, მოტყუებით წაიყვანა ბენზინგასამართ სადგურზე და შეიძინა ბენზინი, მას სახლის ტერიტორიაზე ცეცხლი წაუკიდა და ცეცხლწაკიდებულს შორიდან უყურებდა, თუ როგორ ეკიდებიდა ცეცხლი მის საყვარელ ადამიანს და როგორ ითხოვდა ის შველას, შემდეგ კი შემთხვევის ადგილიდან გაიქცა, – განაცხადა პროკურორმა.

შალვა გოგოლაძე ბრალს არ აღიარებს.

ბრალდების მხარე დაკავებულისთვის აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის შეფარდებას ითხოვდა, დაცვის მხარე კი – მისი 20.000-ლარიანი გირაოს სანაცვლოდ გათავისუფლებას.

საბოლოოდ შალვა გოგოლაძეს პატიმრობა შეეფარდა. აღნიშნული გადაწყვეტილება თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე არსენ კალატოზიშვილმა მიიღო.

თავად ბრალდებულს სასამართლო პროცესზე მომხდართან დაკავშირებით, პოზიცია არ დაუფიქსირებია. როგორც მისი ნათქვამიდან ირკვევა, ის უკრაინაშია დაბადებული და საქართველოში, საგარეჯოში ცხოვრობს. რაც შეეხება მის საქმიანობას, ის მშენებლობაზე მუშაობდა.

შალვა გოგოლაძეს ბრალი სისხლის სამართლის კოდექსის 11 პრიმა 19,109-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტით და მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით წარუდგინა, რაც გულისხმობს განზრახ მკვლელობის მცდელობას ოჯახის წევრის მიმართ ჩადენილი განსაკუთრებული სისასტიკით.

ბრალდება 16-დან 20 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

შემთხვევა 30 ივნისს მოხდა.

ფონიჭალაში საქართველოს ბანკის სერვისცენტრიდან 18.168 ლარის გატაცებისთვის მ.ლ. დააკავეს

შინაგან საქმეთა სამინისტროს თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ისანი-სამგორის მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, 1990 წელს დაბადებული, წარსულში ნასამართლევი და ამჟამად პირობითი მსჯავრის ქვეშ მყოფი მ.ლ. ყაჩაღობის ბრალდებით, ხოლო 1990 წელს დაბადებული ა.შ. – დანაშაულის შეუტყობინებლობისთვის თბილისში დააკავეს.

გამოძიებით დადგინდა, რომ მ.ლ. მიმდინარე წლის 25 ივნისს, ფონიჭალაში მდებარე „საქართველოს ბანკის“ სერვისცენტრს ყაჩაღურად თავს დაესხა და იარაღის მუქარით გაიტაცა ბანკის კუთვნილი თანხა – 18.168 ლარის ოდენობით.

სამართალდამცველებმა, დაკავებულის ბინის ჩხრეკისას, ნივთმტკიცებად ამოიღეს 2.300 ლარი. ა. შ.-ს ავტომანქანის ჩხრეკისას კი ამოღებულ იქნა ცეცხლსასროლი იარაღის მსგავსი ნივთი, რომელიც მოწმის – ნ. ა.-ს ჩვენებით, მ.ლ.-მ ყაჩაღობის შემდგომ გადასცა ა.შ.-ს.

პოლიციამ მოწმე ნ.ა.-ს ბინის ჩხრეკისას დიდი რაოდენობით მედიკამენტები ამოიღო. მისი განმარტებით, აღნიშნული მედიკამენტები მ.ლ.-მ მიმდინარე წლის 20 ივნისს, ერთ-ერთ აფთიაქზე ყაჩაღური თავდასხმის დროს გაიტაცა და შესანახად გადასცა მას.

გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 179-ე მუხლის მე-3 ნაწილით და 376-ე მუხლის მე-3 ნაწილით მიმდინარეობს, რაც ყაჩაღობას და დანაშაულის შეუტყობინებლობას გულისხმობს.

შინაგან საქმეთა მინისტრი ვახტანგ გომელაური თურქეთის რესპუბლიკის ელჩს შეხვდა

შინაგან საქმეთა მინისტრმა, ვახტანგ გომელაურმა საქართველოში თურქეთის რესპუბლიკის ელჩთან, ფატმა ჯერენ იაზგანთან შეხვედრა გამართა.

შეხვედრაზე მხარეებმა ხაზგასმით აღნიშნეს საქართველოსა და თურქეთის რესპუბლიკას შორის არსებული სტრატეგიული ურთიერთობების მნიშვნელობა. განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდა ორი ქვეყნის სამართალდამცავი უწყებების ორმხრივ ნაყოფიერ თანამშრომლობაზე.

შინაგან საქმეთა მინისტრმა და ელჩმა, ასევე, მხარეთა შორის საპოლიციო სფეროში სამომავლო ურთიერთობის პრიორიტეტულ მიმართულებებზე ისაუბრეს.

გმირთა მოედანზე მანქანა მოტოციკლს დაეჯახა

მოტოციკლეტისტი დაიღუპა

1 ივლისს თბილისში, გმირთა მოედანზე ავარიას მსხვერპლი მოჰყვა. ერთმანეთს მსუბუქი ავტომობილი და მოტოციკლი შეეჯახნენ.

ადგილზე მივიდა სასწრაფო დახმარების ბრიგადა, რომელსაც მოტოციკლის მძღოლი გარდაცვლილი დახვდა.

მომხდარზე გამოძიება სსკ-ის 276 მუხლის მე-6 ნაწილით დაიწყო.

პუტინს რუსეთის სათავეში დარჩენა 2036 წლამდე შეეძლება

რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმერ პუტინმა მოქალაქეებს საკონსტიტუციო ცვლილებებთან დაკავშირებულ რეფერენდუმში მხარდაჭერისთვის მადლობა გადაუხადა.

– მსურს მადლიერება გამოვხატო რუსეთის მოქალაქეების მიმართ. მინდა დიდი მადლობა გითხრათ მხარდაჭერისა და ნდობისთვის. მე არაერთხელ მისაუბრია კონსტიტუციაში ცვლილებების შეტანის აუცილებლობის შესახებ. აქ ჩვენ გვაქვს როგორც პოლიტიკური სისტემის გაუმჯობესება, ასევე სოციალური გარანტიების გამყარება, აქ მოცემულია სუვერენიტეტის, ტერიტორიული მთლიანობის გაძლიერება და ბოლოს ჩვენი სულიერი, ისტორიული, ზნეობრივი ფასეულობები, რომლებიც აკავშირებენ თაობებს, – აღნიშნა პუტინმა.

მისივე თქმით, ჯერ კიდევ შიდა სტაბილურობა და დროა საჭირო ქვეყნის და მისი ყველა ინსტიტუტის გაძლიერებისთვის.

– ამასთან, მესმის ჩვენი იმ მოქალაქეების, რომლებმაც მხარი არ დაუჭირეს ცვლილებებს. ჩვენ ჯერ კიდევ ბევრი გადაუჭრელი პრობლემა გვაქვს. ეს სიმართლეა. ხალხი ხშირად აწყდება უსამართლობას და გულგრილობას. ჯერ კიდევ ბევრი ცხოვრობს ძალიან მძიმედ და რთულად. ამასთან ერთად, რეფერენდუმის შედეგები აჩვენებს, რომ რუსეთის დიდ უმრავლესობას სჯერა, რომ ჩვენ შეგვიძლია უკეთესად ვიმუშაოთ და ხელისუფლება – მუნიციპალიტეტებიდან დაწყებული, პრეზიდენტამდე ვალდებულია, გაამართლოს ხალხის ეს მაღალი ნდობა, – განაცხადა პუტინმა.

რუსეთში პირველ ივლისს გამართულ რეფერენდუმში საკონსტიტუციო ცვლილებების განხორციელებას ამომრჩევლების 77,9% პროცენტმა დაუჭირა მხარი, 21.2% კი წინააღმდეგი წავიდა.

საკონსტიტუციო ცვლილებები პუტინს 2036 წლამდე ძალაუფლების გახანგრძლივების იურიდიულ საფუძველს უქმნის.

ნიანგმა წყალში მობანავე მოსწავლე დაგლიჯა

ინდოეთის ოდიშას შტატის მალკანგირის ოლქში ნიანგმა წყალსაცავში მობანავე მოსწავლე წყლის ქვეშ ჩაითრია.

შაბათს, 27 ივნისს სკოლის ორი მოსწავლე მდინარე სილერუზე მდებარე წყალსაცავში საბანაოდ წავიდა. ერთ-ერთი მათგანი, ათი წლის ბიჭი, სახელად კალიაშ მაჯხი ნიანგმა დაიჭირა და წყლის ქვეშ ჩაითრია.

მოგვიანებით ადგილობრივებმა ბავშვის დაგლეჯილი სხეული წყალსაცავის ზედაპირზე მოტივტივე იპოვეს. ახლომდებარე სოფლის მცხოვრებლებმა განაცხადეს, რომ ტრაგედიამდე მცირე ხნით ადრე წყალსაცავში სამი ნიანგი შენიშნეს, რომლებიც წყალთან ახლოს მისულ ცხვარსა და ძროხებს თავს დაესხნენ.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

დიდი ბრიტანეთის მთავრობა ვენესუელის პრეზიდენტად ხუან გუაიდოს აღიარებს

დიდი ბრიტანეთის მთავრობა ვენესუელის პრეზიდენტად ხუან გუაიდოს და არა ნიკოლას მადუროს აღიარებს.

შესაბამისი გადაწყვეტილება ლონდონის სასამართლომ მიიღო.

აღნიშნული გადაწყვეტილება სასამართლომ ვენესუელის ცენტრალური ბანკის მიერ დაწყებული სამართლებრივი დავის ფარგლებში მიიღო.

ბანკმა, რომლის დირექტორთა საბჭოს წევრები ნიკოლას მადუროს მიერ არიან დანიშნულები, დავა იმ 2 მილიარდი აშშ დოლარის ღირებულების ოქროზე კონტროლის მოპოვების მიზნით წამოიწყო, რომელიც ინგლისის ბანკში ინახება.

– ბრიტანეთის მთავრობამ ბატონი გუაიდო ვენესუელის პრეზიდენტად ცალსახად აღიარა. ეს ავტომატურად იმას ნიშნავს, რომ ბატონ მადუროს ვენესუელის პრეზიდენტად არ აღიარებს, – ნათქვამია სასამართლოს მიერ გავრცელებულ განცხადებაში.

მადუროს ცენტრალური ბანკის ადვოკატების განცხადებით, ისინი ლონდონის სასამართლოს აღნიშნული გადაწყვეტილების გასაჩივრებას აპირებენ.

კლუბში „33ა“ სპექტაკლები გაიმართება

კლუბში „33ა“ ღია ცის ქვეშ თეატრები მონატრებული მაყურებლისთვის სპექტაკლებს გამართავენ.

„100 სკამი ცის ქვეშ“ – ასე ჰქვია პროექტს, რომელსაც კლუბი „33ა“ ახორციელებს:

– თუ თქვენ მოგენატრათ თეატრი და მისი ჯადოსნური გარემო, ვაკის პარკის ღია კინოთეატრში „კლუბ 33ა“-ს 100 სკამი გელოდებათ, რა თქმა უნდა, 2-მეტრიანი დისტანციისა და ყველა წესის დაცვით. რაც მთავარია, აქ თქვენი საყვარელი სპექტაკლები, მსახიობები და რეჟისორები დაგხვდებიან, ისინი ხომ პანდემიისთვის შექმნილი რეგულაციების გამო დაცარიელებულ თეატრში, მაყურებლის გარეშე დარჩნენ. პროექტმა „100 სკამი ცის ქვეშ“ ყველა გააერთიანა და მათი ერთიანი ძალისხმევით თეატრის ჯადოსნურობამ ღია ცის ქვეშ გადმოინაცვლა, – ნათქვამია ორგანიზატორთა ოფიციალურ განცხადებაში.

„100 სკამი ცის ქვეშ“ 7 ივლისიდან დაიწყება და ყოველ სამშაბათს, ოთხშაბათს და ხუთშაბათს სხვადასხვა თეატრი მაყურებელს სხვადასხვა სპექტაკლს შესთავაზებს. პროექტს გახსნის მუსიკისა და დრამის თეატრი დავით დოიაშვილის სპექტაკლით „გაყრა“, მას შეენაცვლება თეატრი ათონელზე პაატა ციკოლიას სპექტაკლით „მორალი“. მოზარდ მაყურებელთა თეატრი წარმოადგენს დიმიტრი ხვთისიაშვილის სპექტაკლებს „გვესტუმრეთ ზღაპართა ქვეყანაში“ და „აურზაური არაფრის გამო“. სოხუმის თეატრი პროექტში დავით საყვარელიძის სპექტაკლით „იაკიში და პუპჩე“ ჩაერთვება. რუსთაველის თეატრს მსახიობი მურმან ჯინორია წარადგენს საკუთარი მონოსპექტაკლით „ქარი მწყურია მე პირდაპირი“. მიხეილ თუმანიშვილის სახელობის კინომსახიობთა თეატრი მაყურებელს ზურა გეწაძის სპექტაკლს „7 პატარა პიესა“ და გიორგი სიხარულიძის სპექტაკლს „ბალადა ვეფხისა და მოყმისა“ შესთავაზებს. მარჯანიშვილის თეატრმა პროექტისთვის ლევან წულაძის სპექტაკლი „მთვრალი ალუბალი“ შეარჩია, ილიაუნის თეატრი კახაბერ შარტავას სპექტაკლით „რიჩარდ III“ წარდგება, თოჯინების თეატრი ნიკოლოზ

ბასილაშვილის სპექტაკლს „საქართველო“ ითამაშებს, რეჟისორი ვანო ხუციშვილი საკუთარი დამოუკიდებელი პროექტით „ხედი სასტუმრო საქართველოდან“ წარდგება მაყურებლის წინაშე, თავისუფალი თეატრი ავთანდილ ვარსიმაშვილის სპექტაკლს „2030 დასაკარგი არაფერი გვაქვს“ ითამაშებს, დამოუკიდებელი პროექტით „ზიპო“ წარდგება კიდევ ერთი რეჟისორი პაატა ციკოლია, ამავე რეჟისორის სპექტაკლს „ხრამუნა“ ითამაშებს ფოთის თეატრი, ცხინვალის თეატრი და რეჟისორი გოჩა კაპანაძე „ჯაყოს“ ითამაშებენ, პროექტს კი მოძრაობის თეატრი და რეჟისორი კახა ბაკურაძე დახურავს წარმოდგენით „რეჩიტატივი ქალაქში“.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

პეტრო პოროშენკო სასამართლოს წინაშე წარდგა

უკრაინის ექსპრეზიდენტი პეტრო პოროშენკო სასამართლოს წინაშე წარდგა. მას ბრალი თანამდებობის ბოროტად გამოყენებასა და კანონის დარღვევაში ედება.

პოროშენკო ბრალდებას უარყოფს.

– მე უდანაშაულო ვარ, – განაცხადა მან.

უკრაინის ექსპრეზიდენტმა ხაზი გაუსვა, რომ ქვეყნის ინტერესებს განუხრელად იცავდა და ეროვნულ პოლიტიკას ეწეოდა.

– დონბასში რუსებმა აგრესია განახორციელეს. მე ამას წინ აღვუდექი და დონბასის დაბომბვის ბრძანება გავეცი, რითაც ვამაყობ! – თქვა პოროშენკომ.

სასამართლოს შენობასთან პოროშენკოს მომხრეებმა მოიყარეს თავი. ისინი სკანდირებდნენ:

– ხელები შორს პრეზიდენტისგან!

სასამართლო 8 ივლისისთვის გადაიდო.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

ჰოთ-დოგების სიყვარულმა მამაკაცი გაამდიდრა

ამერიკის ვირჯინიის შტატის ქალაქ როკი მაუნტის მკვიდრს ჰოთ-დოგების სიყვარულმა ლატარიაში მსხვილი მოგება მოუტანა.

ჟირარდ ფორიმ ჰოთ-დოგების საყიდლად პროდუქტების მაღაზიაში შეიარა და გადაწყვიტა, ქეშ 5-ის ლატარიის გათამაშების ბილეთიც შეეძინა. მეორე დღეს მან გათამაშების შედეგები შეამოწმა და აღმოაჩინა, რომ ჰოთ-დოგის საყიდლად წასვლამ მოულოდნელი სიმდიდრე მოუტანა. მამაკაცის მოგებამ 100 ათასი დოლარი შეადგინა.

– აზარტული ადამიანი არ ვარ, – ხაზგასმით აღნიშნა ფორიმ, – თუმცა მომხდარმა სასიამოვნოდ გამაკვირვა.

უფრო ემოციურად გამოხატა მოგებით გამოწვეული სიხარული ამერიკელის მეუღლემ.

– ის უზომოდ იყო გახარებული, – განმარტა ფორიმ, რომელსაც ჯერ არ გადაუწყვეტია, თუ რაში დახარჯავს მოგებულ თანხას.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

მალამო „მენტორი პირველი“

ტრადიციული საუკუნოვანი გამოცდილების მქონე სამკურნალო მცენარეებისგან დამზადებული საუკეთესო ეფექტური სამკურნალო საშუალება – მალამო „მენტორი პირველი“ გამოიყენება შემდეგი დაავადებების სამკურნალოდ: რადიკულიტი, ართროზი, სახსრებში მარილების დაგროვება, პოდაგრა, ნიკრისის ქარი, რავმატიზმი, ფრჩხილების სოკოვანი დაავადება, ასევე კოღოს ნაკბენის დროს.

გამოყენების წესი: მალამო უნდა შეიზილოთ დღეში ორჯერ მტკივნეულ ადგილებში, წელზე და მუხლებზე.

მალამო მენტორი ხუთი

საუკეთესო, უნიკალური, ეფექტური, ტრადიციული ბუნებრივი სამკურნალო მცენარეებისაგან დამზადებული სამკურნალო საშუალება მალამო მენტორი ხუთი გამოიყენება შემდეგი დაავადებების სამკურნალოდ: ქუსლების გარქვანება-ნახეთქების, ბუასილის კვანძების, ფსორიაზის. უფრო ეფექტურია, რომ მალამო შევიზილოთ დილას მტკივნეულ ადგილებში – წელიდან მუხლებამდე, კოჭებამდე. იგი ხსნის დაჭიმულობას, სიმსივნეს, სიმძიმეს, წვას. მკურნალობისას ქრება ტკივილები. ტანზე შეზელილი მალამო უნდა გავიჩეროთ 25-30 წუთის განმავლობაში. მალამო უნდა შევიზილოთ დღეში 2-ჯერ. ტანი უნდა გავიწმინდოთ ქაღალდის სალფეთქით.

☎ 599-73-48-21; 598-73-48-21.

სპორტი — შედეგები

1 ივლისი
ფეხბურთი

ინგლისი. ჩემპიონატი

არსენალი-ნორვიჩი	4:0
ბორნმუთი-ნიუკასლი	1:4
ევერტონი-ლესტერი	2:1
ვესტ ჰემი-ჩელსი	3:2

სატუნინიო ცხრილი:

1.ლივერპული	31	28	2	1	70-21	86
2.სიტი	31	20	3	8	77-33	63
3.ლესტერი	32	16	7	9	60-31	55
4.ჩელსი	32	16	6	10	57-44	54
5.მანჩესტერი	32	14	10	8	51-31	52
6.ვულვზი	32	13	13	6	45-34	52
7.არსენალი	32	11	13	8	47-41	46
8.ტოტენჰემი	31	12	9	10	50-41	45
9.ბარნლი	32	13	6	13	36-45	45
10.შეფილდი	31	11	11	9	30-31	44
11.ევერტონი	32	12	8	12	40-47	44
12.კრ.პალასი	32	11	9	12	28-37	42
13.ნიუკასლი	32	11	9	12	33-43	42
14.საუთჰემპტონი	32	12	4	16	41-55	40
15.ბრაიტონი	32	7	12	13	34-44	33
16.ვესტ ჰემი	32	8	6	18	38-56	30
17.უოტფორდი	32	6	10	16	29-49	28
18.ბორნმუთი	32	7	6	19	30-54	27
19.ასტონ ვილა	32	7	6	19	36-60	27
20.ნორვიჩი	32	5	6	21	25-60	21

ინგლისი. ჩემპიონიგა

პრესტონი-დერბი	0:1
ბირმინგემი-ჰადერსფილდი	0:3
ნოტინგემი-ბრისტოლი	1:0
უენსდი-ვესტ ბრომვიჩი	0:3

ესპანეთი. პრიმეირა დივიზიონი

ალავესი-გრანადა	0:2
ვალენსია-ბილბაო	0:2
ბეტისი-ვილიარეალი	0:2
ვალიადოლიდი-ლევანტე	0:0

სატუნინიო ცხრილი:

1.რეალი	32	21	8	3	60-21	71
2.ბარსელონა	33	21	7	5	74-35	70
3.ატლეტიკო	33	15	14	4	43-25	59
4.სევილია	33	15	12	6	48-33	57
5.ვილიარეალი	33	16	6	11	53-40	54
6.ხეტაფე	32	14	10	8	42-30	52
7.ბილბაო	33	12	12	9	38-28	48
8.სოსიეედადი	32	14	5	13	48-41	47
9.გრანადა	33	13	7	13	40-38	46
10.ვალენსია	33	12	10	11	41-48	46
11.ლევანტე	32	12	5	15	41-46	41
12.ოსასუნა	32	10	11	11	38-47	41
13.ბეტისი	33	9	10	14	43-54	37
14.ვალიადოლიდი	33	7	15	11	27-37	36
15.ალავესი	33	9	9	16	32-50	36
16.ეიბარი	32	9	8	15	34-48	35
17.სელტა	33	7	13	13	32-42	34
18.მალიორკა	33	8	5	20	35-56	29
19.ლეგანესი	33	5	10	18	24-49	25
20.ესპანიოლი	32	5	9	18	26-51	24

ესპანეთი. სეგუნდა დივიზიონი

ალმერია-ხიხონი	1:0
ლუგო-ნუმანსია	3:1
ოვიედო-მირანდესი	1:0
პონფერადინა-ფუენლაბრადა	0:3
ესტრემადურა-რასინგი	3:1

იტალია. სერია ა

ბოლონია-კალიარი	1:1
ინტერი-ბრეშა	6:0
ვერონა-პარმა	3:2
ლეჩე-სამპდორია	1:2
სალი-მილანი	2:2
ფიორენტინა-სასუოლო	1:3

სატუნინიო ცხრილი:

1.იუვენტუსი	29	23	3	3	59-25	72
2.ლაციო	29	21	5	3	66-28	68
3.ინტერი	29	19	7	3	62-29	64
4.ატალანტა	28	17	6	5	80-39	57
5.რომა	28	14	6	8	53-38	48
6.ნაპოლი	28	13	6	9	46-37	45
7.მილანი	29	12	7	10	36-37	43
8.ვერონა	29	11	9	9	37-34	42
9.კალიარი	29	10	9	10	48-45	39
10.პარმა	29	11	6	12	40-38	39
11.ბოლონია	29	10	8	11	41-46	38
12.სასუოლო	29	10	7	12	51-50	37
13.ფიორენტინა	29	7	10	12	35-42	31
14.ტორინო	29	9	4	16	33-52	31
15.სამპდორია	29	8	5	16	33-51	29
16.უდინეზე	28	7	7	14	23-41	28
17.ჯენოა	29	6	8	16	35-56	26
18.ლეჩე	29	6	7	16	36-66	25
19.სპალი	29	5	4	20	23-50	19
20.ბრეშა	29	4	6	19	25-58	18

პორტუგალია. პრიმეირა ლიგა

ბელენენსეში-ტონდელა	1:1
სპორტინგი-ჟილ ვისენტე	2:1

ხესეთი. პრემიერლიგა

უფა-რუბინი	0:0
არსენალი-ახმატი	1:3
ტამბოვი-ზენიტი	1:2
როსტოვი-კრასნოდარი	1:1
სოჭი-დინამო	1:1

შვეიცარია. სუპერლიგა

ლუგანო-ბაზელი	2:1
ქსამაქსი-სტ.გალენი	1:2
თუნი-ციურიხი	3:2

ავსტრია. ბუნდესლიგა

რაპიდი-ლინცერი	3:1
ზალცბურგი-შტურმი	5:2

შტურმის პირველი გოლი ოთარ კიტეიშვილმა გაიტანა

საბერძნეთი. სუპერლიგა

პანათინაიკოსი-არისი	2:0
პაოკი-აეკ	~~ჯაგრძელება ჰე-7 გვერდზე~~ 0:2
ოლიმპიაკოსი-ოფი	2:1

ჩეხეთი. თასი
ფინალი

ლიბერეცი-სპარტა	1:2

დანია. თასი
ფინალი

ოლბორგი-სონდერიისკე	0:2

შვედეთი. აღსვენსკა

კალმარი-ესტერსტუნდი	1:2
მალმიო-დიურგარდენი	1:0
ნორჩიოპინგი-ელფსბორგი	1:1

ნორვეგია. ელიტსერია

ვიკინგი-სანდერფიორდი	2:0
ალესუნდი-მიონდალენი	1:3
სტაბეკი-სტრომგოდსეტი	2:0
ოდ გრელანდი-ბოდო გლიმდტი	0:4
ჰაუგესუნდი-სტარტი	1:0
რუსენბორგი-ვალერენგა	1:1

მოამზადა მიხეილ ყორეოლიანმა

ფედერერი სამყაროს ქართველით გაიცნო

როჯერ ფედერერი რომ მსოფლიო ჩოგბურთის ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე დიდი (თუ ყველაზე დიდი არა) სპორტსმენია, ამ საკითხზე არავინ დავობს. თუმცა, ისიც სათქმელია, რომ საჩოგბურთო სამყარომ შვეიცარიელი ქართველ ირაკლი ლაბაძესთან დაპირისპირების შემდეგ გაიცნო. ეს უიმბლდონის 1998 წლის ახალგაზრდული ტურნირის ფინალში მოხდა.

ერთ-ერთმა პრესტიჟულმა საჩოგბურთო პორტალმა სწორედ ეს ისტორია გაიხსენა....

– როჯერ ფედერერის პირველი გაბრწყინება, ბევრს უიმბლდონის 2001 წლის პიტ სამპრასთან ფინალი ჰგონია, მაგრამ არ არის სიმართლე. 3 წლით ადრე შვეიცარიელს ოქროს მომენტი ჰქონდა, როდესაც ინგლისის კორტებზე თავისი პირველი ტიტული მოიპოვა. 16 წლის შვეიცარიელმა ახალგაზრდული ტურნირის ფინალში 2 სეტში დაამარცხა ქართველი ირაკლი ლაბაძე.

ეს მატჩი უიმბლდონის მე-2 კორტზე გაიმართა და ახლა აღარ არსებობს. ეს კორტი უფრო იმით იყო ცნობილი, რომ იქ ხშირად ამარცხებდნენ ფავორიტებს. ფედერერის გამარჯვება კი იმის ნიშანი იყო, რომ წინა თაობის დრო მიდიოდა და როჯერის დრო ახლოვდებოდა.

საჩოგბურთო სამყარო მომავალი ჩემპიონის დაბადების მოწმე გახდა. მასზე უკვე ბევრს საუბრობდნენ და ჭაბუკმა როჯერმაც ბრწყინვალე თამაშით დაამტკიცა, რომ არცთუ უსაფუძვლოდ, მან ტიტული ისე მოიგო, ერთი სეტიც არ დაუთმია.

როჯერ ფედერერი:

– ამ ახალგაზრდული ტურნირის მოგება ძალიან კარგად მახსოვს. უიმბლდონზე თამაში და გამარჯვება ჩემი ოცნება იყო. და აი, ბალახზე ვარ ფინალში. ახლაც მახსოვს, მსაჯს რომ ვკითხე, ბადე ძალიან მაღალზე ხომ არ არის-მეთქი. ნერვიულობისგან მეგონა, ფრენბურთის სიმაღლეზე იყო გაჭიმული. ჩემთვის უდიდესი პატივია სამეფო ლოჟაში ასვლა და ტიტულის მიღება ცენტრალურ კორტზე. ეს იყო ჩემი ოცნება, ტურნირმა შთაგონება მოახდინა ჩემზე და მეც დავიმუხტე. შემდეგ ყველაფერი აეწყო. ხდება ხოლმე, რომ უიმბლდონისთვის განეწყობი, მაგრამ რაღაც ისე არ არის, როგორც გინდა, იმ წელს კი იყო. ჩემი სასიყვარულო ისტორია ამ ტურნირთან იმ წელს დაიწყო. მაშინ სულ სხვანაირი ვიყავი, კორტზე ძალიან ემოციურად ვიქცეოდი, ჩოგნებს ვაგდებდი. რის გამოც მშობლები ხშირად მსაყვედურობდნენ. 17 წლის ასაკში მათ ჩემი ფსიქოლოგთან მიყვანაც კი გადაწყვიტეს. ამის შემდეგ დავწყნარდი. მას მერე, როცა ყველაფერი ისე არ მიდის, როგორც მსურს, ვიხსენებ, რა სამუშაო გავწიე იმისთვის, რომ წარმატებისთვის მიმეღწია და მაშინვე ვწყნარდები.

38 წლის როჯერ ფედერერი ახლა მსოფლიოს მე-4 ჩოგანია. ის ვაჟთა შორის რეკორდსმენია გრანდ სლემის 20 ტიტულით. ასევე რეკორდსმენია მსოფლიოს პირველი ჩოგნის ხანგრძლივობით, რაც 310 კვირას შეადგენს.

39 წლის ირაკლი ლაბაძემ კი კარიერა 10 წლის წინ დაასრულა. 2004 წელს ლაბაძე მსოფლიოს 42-ე ჩოგანი იყო, რაც მისი კარიერის საუკეთესო მიღწევაა. 2006 წლის უიმბლდონზე მან მე-4 წრეში ითამაშა, რაც გრანდ სლემის ტურნირებზე მისი საუკეთესო შედეგია.

1998 წლის ახალგაზრდულ უიმბლდონზე როჯერ ფედერერი მე-5 ნომრად იყო განთესილი, ირაკლი ლაბაძე კი – მე-7 ნომრად. ფინალამდე მათ 6-6 მეტოქე დაამარცხეს. ფინალში შვეიცარიელმა 6:4, 6:4 მოიგო.

ტენერიფემ შერმადინი დაიტოვა

ესპანეთის საკალათბურთო სეზონის დასრულების შემდეგ ტენერიფემ გუნდის შეცვლა გადაწყვიტა და თითქმის სრულ შემადგენლობას კონტრაქტები გაუწყვიტა. თუმცა, ამ სიაში არ არის გიორგი შერმადინი. ჩვენებური მარსელინიო უერტასთან ერთად კუნძულელთა მთავარი ვარსკვლავია და ამ 2 კალათბურთელს ახალი ხელშეკრულებები შესთავაზეს.

ესპანურმა კლუბმა შერმადინს კონტრაქტი 2023 წლამდე გაუხანგრძლივა და მალევე ახალი ხელშეკრულება ბრაზილიელ მარსელინიო უერტასსაც გაუფორმა.

31 წლის შერმადინი ტენერიფეში 2019 წლიდან ირიცხება. მანამდე კი, ესპანეთშივე სარაგოსაში, ანდორასა და უნიკახაში უთამაშია. სანამ სეზონი შეწყდებოდა, შერმადინი საშუალოდ 18.3 ქულას აკეთებდა, რაც ლეგიონერობის პერიოდში, მისი საუკეთესო შედეგია.

გეტყვით იმასაც, რომ ტენერიფემ კონტრაქტები აღარ გაუგრძელა ლაჰაუ კონატეს (საფრანგეთი), აარონ უაითს (აშშ), ნიკ ზეისლოფტს (აშშ), ტომაშ გიელოს (პოლონეთი), ალექს სუარესსა (ესპანეთი) და დინო რადონჩიჩს (მონტენეგრო).

მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა

კობიაშვილი სიმბოლურში მოხვდა



გერმანულმა მედიამ ბუნდესლიგაში მოთამაშე აღმოსავლეთ ევროპელების სიმბოლური ნაკრები გამოაქვეყნა. 11 საუკეთესოს შორის ერთი ქართველიც მოხვდა – ლევან კობიაშვილი.

ჩვენებურმა 3 გერმანულ გუნდში ითამაშა – ფრაიბურგში, შალკესა და ჰერტაში. თუმცა, კობიაშვილი სიმბოლურში ცენტრალურ მცველად ჰყავთ გამწესებული, რომელიც მისთვის ნამდვილად უცხოა.

სიმბოლური ნაკრები ასე გამოიყურება:

მეკარე: კირალი (უნგრეთი);

მცველები: სალიჰამიჯიჩი (ბოსნია), რ.კოვაჩი (ხორვატია), კობიაშვილი (საქართველო), ალაბა (ავსტრია);

ნახევარმცველები: ნ.კოვაჩი (ხორვატია), დარდაი (უნგრეთი), ბლაშჩიკოვსკი (პოლონეთი), მისიმოვიჩი (ბოსნია);

თავდამსხმელები: ბალაკოვი (ბულგარეთი), ლევანდოვსკი (პოლონეთი).

აი, რას წერენ გერმანელები კობიაშვილზე:

– როცა გერმანიაში ჩამოვიდა, 20 წლისაც არ იყო, მაგრამ საქართველოს სამგზის ჩემპიონი გახლდათ. 2000-იანი წლების დასაწისში არაერთი კარგი მატჩი ჩაატარა ფრაიბურგში და გოლებიც გაიტანა. ფრაიბურგი ქართველების გუნდი იყო, კობიაშვილთან ერთად გამოირჩეოდნენ ალექსანდრე იაშვილი და ლევან ცქიტიშვილი. კობიაშვილი შემდეგ შალკეში გადავიდა, ითამაშა გერმანიის თასის ფინალში, უეფას თასის ნახევარფინალში. ხოლო 2014 წელს ჰერტაში დაასრულა კარიერა. ის ერთადერთი ქართველი ფეხბურთელია, რომელმაც ნაკრებში 100 მატჩი ჩაატარა. ამჟამად საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტია.

რაც შეეხება მწვრთნელს, საუკეთესოდ ერნსტ ჰაპელი დაასახელეს. ავსტრიელი ჰაპელი 1992 წელს გარდაიცვალა 67 წლის ასაკში. კონკრეტულად გერმანიაში კი ჰამბურგს წვრთნიდა და 1983 წელს ჩემპიონთა თასი მოაგებინა.

სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა. თოდუების საგვარეულო მალამო არის ბუნებრივი მეთოდებით დამზადებული წამლები, რომლებიც ათეულობით წლების განმავლობაშია ნაცადი. დღეს ამ ცნობილი გვარის წარმომადგენელი არის ლამარა თოდუა, რომელსაც უამრავი მადლიერი პაციენტი ჰყავს.

ქალბატონ ლამარას მომზადებული მალამოები და ნიღბები კანს სრულ ელასტიურობას უბრუნებს, ხელს უშლის კანის დანაოჭებას, სრულად არჩენს ჩირქოვან გამონაყარს. სწრაფად ახორცებს ნებისმიერი ხარისხის დამწვრობას, ყოველგვარი ნაირევის და ლაქების გარეშე.

ნებისმიერი დაავადების განკურნებისთვის საჭიროა ორგანიზმის გაწმენდა, რაშიც ლამარა თოდუას ნაყენები დაგეხმარებათ. ორკვირიანი პროცედურით გაგეწმინდებათ ორგანიზმი.

ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. კუჭის წყლულს; 11. გულძმარვას („იჟოგას“); 12. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 13. გამაგრებულ ნანემსარს; 14. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 15. მოვხსნი მეჭეჭებს; 16. განვკურნავ ჭიებისგან; 17. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 18. სოკოვან დაავადებებს; 19. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს; 20. ბუასილს.

მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი. ტელ.: 599-16-10-82, 593-99-62-52.

სამგლოვიარო განცხადებები

მიმოზა ჩიქოვანი-ტაბაღუას გახსენება

ჩემო სანატრელო და უძვირფასესო მიმოზა!

დღეს შენი დაბადების დღეა, რომელსაც ჩემთან ერთად გილოცავენ შვილები ლალი და ლევანი, ძმები ლევან და თენგიზ ჩიქოვანები ოჯახებით, და ლამარა ჩიქოვანი ოჯახით, სისხლხორც-ნათესავები, შენი სათაყვანებელი და განუყრელი მეგობრები ნანა ლომთათიძე, ნათელა წულაია, ციური ხაბაზიშვილი და გისურვებენ ზეციურ საქართველოს დიად სასულეთში მტკიცედ დამკვიდრებას და სულიერ სიმშვიდეს, სადაც მეორე წელია ხვდები შენი დაბადების თარიღს მარადიულ სასუფეველში.

მშვიდად განისვენე ჩემო წარსულის ტკბილო მოგონებავ და მომავლის მოურჩენელო დარდო და ტკივილო!

ღმერთმა ნათელში ამყოფოს შენი მარად მღვიძარე სპეტაკი სული!

შენი გულდაწყვეტილი მეუღლე ვლადიმერ ტაბაღუა.

88 წლის ასაკში გარდაიცვალა ჩვენი ბავშვობის მეგობარი, ჩვენი ჭირისა და ლხინის გამზიარებელი

ავთანდილ რამიშვილი

დიდი მწუხარებით თანავუგრძნობთ მის ოჯახს.

ალეკო ხუნდაძის, რეზო ჭკუასელის, არჩილ მელუას, აწ გარდაცვლილი ნოდარ ნადირაშვილის, ნოდარ ჭეიშვილის, ნოდარ გავაშელის, ლევან გველესიანის, გიზო გოგიტიძის, მერაბ ლანდიას, გელა ლოსაბერიძის, გივი ფავლენიშვილის, ნოდარ მონიავას, გურამ მებუკისა და ირაკლი ყანდარელის ოჯახები უდიდესი გულისტკივილით გემშვიდობებით, ჩვენო ავთო!

ნათელში ამყოფოს უფალმა შენი სული!

დაკრძალვა: შაბათს, 4 ივლისს.

სამგლოვიარო და მისალოცი განცხადებები მიიღება
ტელ.: 599-532-690 – 12-დან 17 საათამდე

ჯოსვოიდი ბ



შვეულად: 1. ობობას მეორე სახელწოდება; 2. აეროპორტი სინგაპურში; 3. შექსპირის ნაწარმოებთა ქართულად მთარგმნელი; 4. საქართველოს კალათბურთელთა ნაკრების მწვრთნელი; 5. სხეულთა წონასწორობის პირობების შემსწავლელი მექანიკის ნაწილი; 6. რაჭა-ლეჩხუმის ისტორიული სახელწოდება; 11. დადგენილი წილი, ნორმა; 12. ზამთრის თვე; 14. ამერიკული საავტომობილო კონცერნი; 15. ძველებური რუსული ოქროს ფული; 17. სახელმწიფო ცენტრალურ ამერიკაში; 18. აშშ-ის პრეზიდენტი; 19. ტვირთბრუნვით ყველაზე დიდი ნავსადგური საუდის არაბეთში.

თარაზულად: 7. ქალაქი ჩინეთში; 8. ყალბი, საეჭვო დებულებების მტკიცება სხვადასხვა ხრიკებით; 9. შესანახად მოდუღებული ყურძნის წვენი; 10. წყლის ტრამვაი ვენეციაში; 12. დასავლეთ საქართველოში გავრცელებული შავყურძნოვანი ვაზის ქართული სუფრის ჯიში; 14. დაბალი დგომი თხილამურებით სრიალის დროს; 16. მოწინააღმდეგე კამათში; 18. ნიადაგის დამამუშავებელი მანქანა; 20. სამეჯლისო ცეკვა; 21. ხელზე მოსამსახურე ბიჭი ძველად; 22. კუნძულოვანი სახელმწიფო სპარსეთის ყურეში; 23. აზრი, ჩანაფიქრი; 24. გემის სურსათითა და საყოფაცხოვრებო ნივთებით მომმარაგებელი ოფიცერი სამხედრო-საზღვაო ფლოტში.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა

წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

კროსვორდი ა

შვეულად: 1. ბურნაკუ; 2. მადაფათა; 3. ბონუსი; 4. პოლკა; 5. ნიკოტინი; 8. კარაკასი; 12. „ნანა“; 13. ტრაქტატი; 14. ინდიგო; 16. „ჰარიერი“; 18. გინზა; 20. იენი.

თარაზულად: 6. ჩურჩხელა; 7. აპოთეოზი; 8. „კახასა“; 9. პალმა; 10. ფაგოციტი; 11. პლანტაჟი; 15. „ბრიჯსტოუნი“; 17. მადონა; 19. გუტიერესი; 21. ბარხანი; 22. დილეტანტი; 23. წირქოლი.

კროსვორდი ბ

შვეულად: 1. აღდგომა; 2. უბისა; 3. კარაკასი; 4. რაბათი; 5. მაღრაძე; 6. ფარვანა; 11. ანოდი; 13. წალკოტი; 14. ზეთისხილი; 15. ბუდაპეშტი; 17. ასკოტი; 18. თარაზო; 19. ზებუ.

თარაზულად: 7. დღეობა; 8. კაპაბლანკა; 9. ეგრისი; 10. ჯაბადარი; 12. სარწყუნისი; 14. ზნეობა; 16. ტაილანდი; 18. თეთნულდი; 20. ბრასი; 21. სპა; 22. პორტრეტი; 23. ვიში; 24. გუბაზოული.

ახალი თაობა

Akhali Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

3 ივლისი

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 3.0567

ევრო — 3.4247

დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი — 3.7928

100 რუსული რუბლი — 4.3017

ამინდის პროგნოზი 3 ივლისისთვის

გრიზმანს ბარსელონადან წასვლა სურს



ბარსელონას ფრანგ ფორვარდს ანტუან გრიზმანს ბარსელონას დატოვება სურს. ამის შესახებ ცნობილი ესპანური გაზეთი მარკა წერს, რომლის ინფორმაციის მიხედვით გრიზმანის აგენტი შესაძლოა ბარსელონას პრეზიდენტს ჯოზეფ ბართომეუს შეხვდეს.

გრიზმანი ბოლო პერიოდში მოედანზე მხოლოდ ცვლილებებზე შემოდის და ზოგადად მას კარიერა ბარსელონაში ჯერჯერობით არ აეწყო.

გარდა ამისა, ვრცელდება ჭორები, რომ გრიზმანს თანაგუნდელებთან კარგი ურთიერთობა არა აქვს, რის გამოც ის მოედანზე ვერ ახერხებს თავისი შესაძლებლობების ბოლომდე გამოვლინებას.

პიანიჩი: „ბარსელონაში გადასვლით ძალიან ბედნიერი ვარ“

ბარსელონას ახალი ფეხბურთელი ბოსნიელი მირალემ პიანიჩი გუნდში გადასვლით ძალიან ბედნიერია და თვლის, რომ ბარსელონაში მისი კარიერის ახალი ეტაპი დაიწყება.

პიანიჩის აზრით, მას შეუძლია თავის ახალ გუნდს დაეხმაროს მიზნების მიღწევაში:

– ძალიან მიხარია, რომ ისეთი გუნდის წევრი გავხდი, როგორიც ბარსელონაა, რადგან ამ კლუბს უდიდესი ისტორია აქვს და ნებისმიერი ფეხბურთელისთვის პატივია აქ თამაში. იმედი მაქვს, ერთად წარმატებას მივაღწევთ.

ჟოზე მოურინიო: „მინდა, რომ კეინი ტოტენჰემში დარჩეს“

ლონდონის ტოტენჰემის მთავარმა მწვრთნელმა ჟოზე მოურინიომ განაცხადა, რომ მას სურს ჰარი კეინის გუნდში დარჩენა და იმედგაცრუებული იქნება, თუ ფორვარდი ტოტენჰემიდან წავა.

მოურინიოს აზრით, კეინი მსოფლიოში ერთ-ერთი საუკეთესო ფორვარდია და მისი წასვლა ნებისმიერ გუნდს დაასუსტებს:

– კეინის გარეშე ნამდვილად გაგვიჭირდება და მინდა, რომ ის ჩვენთან დიდხანს იყოს. მისი დონის ფორვარდები მსოფლიოში თითქმის არ არსებობენ და ეს სიმართლეა.

ლევან მჭედლიძემ თბილისის დინამო დატოვა



ლევან მჭედლიძემ თბილისის დინამო დატოვა და ეს ინფორმაცია დინამომ ოფიციალურად დაადასტურა. მჭედლიძე დინამოში ერთი წლის წინ მივიდა და მხოლოდ ერთი გოლის გატანა შეძლო. მანამდე მჭედლიძე წლების მანძილზე ემპოლის ღირსებას იცავდა და ერთი პერიოდი ამ გუნდის ლიდერადაც ითვლებოდა.

ლევანის კარიერას ხელი შეუშალეს ტრავმებმა, რის გამოც მან საკმაოდ ბევრი გამოტოვა და ვერ შეძლო სტაბილურად თამაში.

მოამზადა ბექა გოგინაშვილმა

ასტროპროგნოზი

3 ივლისისთვის

ვერძი – ნუ იაქტიურებთ და ნუ იჯიუტებთ. მოულოდნელი ინფორმაცია გეგმებს შეგიცვლით. **კურო** – ყველა უსიამოვნება დავიწყებას მიეცემა. ფორტუნა გიღიმით. განსაკუთრებით უმართლებთ შემოქმედებით სფეროში მომუშავე ადამიანებს. **ტყუპები** – სამსახურში კოლეგებთან და ხელმძღვანელობასთან კონფლიქტი გელით. ეცადეთ, ნებისმიერი პროვოკაცია თავიდან გონივრულად აიცილოთ. **კირჩხიბი** – დღის პირველ ნახევარში ერიდეთ საქმიან შეხვედრებს. ემოციური ფონი ძალზე მაღალია, რაც სწორი დასკვნების გამოტანაში ხელს შეგიშლით. **ლომი** – პროფესიულ საქმიანობაში შეცდომის დაშვების ალბათობა დიდია. საკუთარი პრინციპების დათმობა მოგიწევთ. **ქალწული** – გადაღლილი ხართ. ახლობლების შენიშვნები მშვიდად მიიღეთ. საკუთარ თავს კრიტიკულად მიუდექით. **სასწორი** – სხვისი გავლენის ქვეშ ნუ მოექცევით. მიენდეთ ინტუიციას. ემოციები აკონტროლეთ. **ღრიანკალი** – ოჯახში არასტაბილური სიტუაციაა. სასიცოცხლო პოტენციალი მცირდება. ერიდეთ საქმის გარჩევებს ახლობლებთან. **მშვილდოსანი** – უარი თქვით მოგზაურობასა და მივლინებებზე. ფინანსებს გაუფრთხილდით. **თხის რქა** – აგრესიისა და მკვეთრი გამოთქმებისაგან თავი მაქსიმალურად შეიკავეთ. წარმატება მხოლოდ თქვენს კეთილგონიერებაზეა დამოკიდებული. **ვერცხელი** – ახალი წამოწყება გაამართლებს. ბედი გწყალობთ. სამსახურში ერიდეთ ინტრიგებში ჩართვას. **თევზები** – ჯანმრთელობას მიხედეთ. ორგანიზმი გაიწმინდეთ. მიირთვით ჯანსაღი საკვები. ნებისმიერ სიტუაციაში სიმშვიდე შეინარჩუნეთ.

გისუსტებთ ბედნიერ დღეს!

იუმორი

დილით ცოლი ქმარს ეუბნება:

– ბავშვი საბავშვო ბაღში წაიყვანე.

– მეზარება.

– წაიყვანე და ხუთ ლარს მოგცემ.

ამ დროს ბავშვი დედას ეუბნება:

– დედიკო, ათი ლარი მომეცი და მე თვითონ წავალ!

●●●

ცოლი ქმარს ეუბნება:

– როგორ გაგიმართლა, შენი ცოლი რომ ვარ...

– ვითომ რატომ?

– რატომ და ჩემ ასაკში შესანიშნავად გამოვიყურები, ლიფის გარეშეც კი შემიძლია ვიყო.

– ჰო, ლიფის გარეშე უკეთესიცაა, სახეზე ყველა ნაოჭი გისწორდება.

●●●

კაფეში მჯდომ ორ მამაკაცთან ოფიციანტი მივიდა. ერთ-ერთი ეუბნება:

– მე პომიდვრის წვენი მომიტანეთ.

ამ დროს მეორე პირველს ეუბნება:

– შენ რა, მკვდარი პომიდვრების სისხლი უნდა დალიო?!

●●●

ორი ნაცნობი საუბრობს. ერთი მეორეს ეუბნება:

– ადრე სვირინგებს პატიმრები, მეზღვაურები და დებილები იკეთებდნენ.

– და ახლა?

– ახლა? რა, შეიცვალა რამე?

ეკა მამალაძემ 60 წლის იუბილე კონცერტით აღნიშნა

მომღერალმა ეკა მამალაძემ 60 წლის იუბილე ოდნავი დაგვიანებით გარდენიაში გამართული კონცერტით აღნიშნა.

იუბილარი მომღერლისთვის მისალოცად ღია ცის ქვეშ უამრავი მისი კოლეგა და მეგობარი შეიკრიბა.

სპეციალურად კონცერტისთვის აშენებულ სცენაზე ერთმანეთს ცვლიდნენ ნანი ბრეგვაძე, ეკა მამალაძე, ნატალია ქუთათელაძე. მათ აკომპანირებას ნიკოლოზ რაჭველი უწევდა.

იუბილარმა მომღერალმა უამრავი თბილი სიტყვა, მხურვალე აპლოდისმენტები და ოვაციები დაიმსახურა.

თემურ თათარაშვილის ოჯახის წევრი სამსახურიდან გაუშვეს

მომღერალი თემურ თათარაშვილი აცხადებს, რომ მისი ოჯახის ერთადერთი წევრი, რომელიც მუშაობდა, შეამცირეს:

– ჩემი ოჯახის ერთადერთი წევრი მუშაობდა და ისიც დღეს მოხვდა შემცირებაში. ვაშა ამ ქვეყანას!

თბილისის ბავშვთა კაპელა მსოფლიოში საუკეთესოდ აღიარეს

თბილისის ბავშვთა კაპელა და მისი ხელმძღვანელი გელა ფარჩუკიძე ლეგენდარული ჯგუფის „ქვინის“ სიმღერის „ბოჰემური რაფსოდია“ უბადლო შესრულებისთვის მსოფლიოში საუკეთესოდ აღიარეს.

„ნიჭიერის“ ოფიციალურმა ინტერნეტგვერდმა გამოაქვეყნა შოუში მონაწილე იმ კონკურსანტების ხუთეული, რომელთაც „ქვინის“ სიმღერები ყველაზე კარგად შეასრულეს. უცხოელ კონკურსანტებთან ერთად ჩამონათვალში თბილისის ბავშვთა კაპელაც მოხვდა.

გელა ფარჩუკიძე, თბილისის ბავშვთა კაპელის ხელმძღვანელი:

– მადლობა ღმერთს. გვიხარია და ვამაყობთ, რომ მსოფლიოს ყველაზე პოპულარული შოუს „ნიჭიერის“ ცენტრალურმა, ანუ ამერიკულმა „უფროსობამ“ „ქუინის“ ქაერების საუკეთესო შემსრულებელთა რიგებში თბილისის ბავშვთა კაპელის – ქართველი ბავშვების ნამღერი შეიყვანა.

ეს იგივეა, ინგლისელი ან ამერიკელი ქართული სიმღერის შემსრულებელთა საუკეთესო შვიდეულში რომ შეიყვანონ. ვულოცავ ჩემს ოჯახს – კაპელას, ჩემს პატარა პრინცესებს და პრინცებს, მათ ოჯახებს ამ აღიარებას. თბილისის ბავშვთა კაპელა ხომ ქართული პროექტია. იხარე საქართველო!

ბაჩო ნაკაშიძე საქართველოში ტურისტების შემოსვლის წინააღმდეგია

ოპერის მომღერალი ბაჩო ნაკაშიძე საქართველოს საზღვრების გახსნის და ჩვენს ქვეყანაში ტურისტების შემოსვლის წინააღმდეგია:

– ყველა ჩვენთაგანმა გავიარეთ ძალიან მძიმე და სტრესული სამი თვე. მორალურად, ეკონომიკურად, ფიზიკურად, ყველანაირად დავზარალდით როგორც ჩვენ, ასევე მთელი მსოფლიო. ახლა აქცენტს ჩვენ ქვეყანაზე ვაკეთებ. დავრეკე აეროპორტში და დავინტერესდი, როდესაც უცხოელი შემოდის ქვეყანაში, თუ არის საჭირო 14-დღიანი კარანტინი ან კოვიდ-19 ის შესაბამისი პასპორტი.

აეროპორტის თანამშრომელმა მიპასუხა, რომ არც რაიმე პასპორტი და არც 14-დღიანი კარანტინი არ არის საჭირო სტუმრებზე. მხოლოდ თერმოსკრინინგიო. კითხვა მაქვს უპირველეს ყოვლისა საქართველოს მთავრობასთან და საქართველოს მოსახლეობასთან – გვიღირს ამდენ წვალებად და ამდენ სტრესად ეს ყველაფერი?

ღმერთმა დაგვიფაროს მეორე ტალღისგან, მაგრამ ინფიცირებულები რომ შემოვიდნენ, როგორ ვაკონტროლებთ?! თან თუ გადახედავთ მსოფლიოს, შემთხვევები არ კლებულობს და პირიქით, მატულობს, ჩვენ მეზობელ ქვეყნებში საშინელება ხდება!

„მხოლოდ თერმოსკრინინგიო“?! მე ნამდვილად არ მინდა და არც ერთ ჩემს მეგობარს და ნაცნობს, რომ კიდე მინიმუმ სამი თვე ის ჯოჯოხეთი გავიაროთ იმის გამო, რომ ტურისტებით ეკონომიკა გავაცოცხლოთ.

კიდე თუ განმეორდება, ეკონომიკა ნამდვილად მოკვდება! ამიტომ ყველამ ადეკვატურად ვიფიქროთ ამ საკითხზე! არ ჯობია, ეს დადებითი ბალანსი შევინარჩუნოთ და ქვეყანამ ადგილობრივ ტურიზმზე გააკეთოს აქცენტი? ძალიან მიყვარს სტუმარი, მაგრამ ამ სიტუაციაში ნამდვილად არ მინდა არავის შემობრძანება!

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

ნარკოკურიერმა შეცდომით 8 კილოგრამი კოკაინი პოლიციელებს ჩააბარა

ინგლისის მერისაიდის საგრაფოს ქალაქ ჰაიტონში ნარკოკურიერმა შემთხვევით კოკაინის მსხვილი პარტია იმ ბინაში მიიტანა, სადაც იმ დროს პოლიცია ჩხრეკას ატარებდა.

დაახლოებით დილის ცხრა საათზე პოლიციელები დანაშაულის ჩადენაში ეჭვმიტანილის სახლში ჩხრეკას ატარებდნენ. ამ დროს მოულოდნელად ბინაში მცხოვრებთან პიროვნება მივიდა და ამანათი გადასცა – სათამაშოების შეკვრა, რომლის შესაფუთ ქაღალდზე საბავშვო სახანძრო მანქანა იყო გამოსახული. შეფუთვაზე მითითებული იყო, რომ ის ორ წლამდე ბავშვებისთვის იყო განკუთვნილი.

სათამაშოში კი პოლიციელებმა რვა კილოგრამი კოკაინი აღმოაჩინეს, რომლის ფასი, გამომდინარე ნივთიერების სისუფთავიდან, შესაძლოა 600 ათას ფუნტ სტერლინგს აღწევდეს.

სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომლებმა 42 წლის მამაკაცი დიდ ბრიტანეთში ნარკოტიკების ექსპორტის და ასევე მარიხუანის შენახვის ბრალდებით დააკავეს.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ჯოსვოხდი ა



შვეულად: 1. ყოველდღიური ხუთჯერადი ლოცვა არაბულ ქვეყნებში; 2. უძველესი აკადემია კახეთში; 3. წითელი ფერის იტალიური სადესერტო ღვინო; 4. მდინარე ზუგდიდში; 6. ქართული ლუდი; 8. ბალნეოლოგიური კურორტი კახეთში; 11. დიდი ფართობის ნოყიერი სახნავი მიწა; 12. ფასის დაწევა საქონელზე, პროდუქციაზე უხარისხობის გამო; 16. სუბტროპიკული ხილი; 17. მკვრივი და დრეკადი იოგი, რომლითაც კუნთი მიმაგრებულია ძვალზე; 18. პერიოდულ ბეჭდვით გამოცემათა ერთობლიობა.

თარაზულად: 1. სირბილი, ცურვა მოკლე დისტანციაზე; 5. ცვალებადი მიმართულების სუსტი ქარი ზღვის სანაპიროზე; 7. ძვირფასი სარწაო თევზი; 9. ქართული ხალხური ტანსაცმელი; 10. ორგანიზმის რომელიმე ორგანოს სპეციფიკური მოქმედება, დანიშნულება; 13. ჭადრაკის ფიგურა; 14. დიდი სატრანსპორტო, სამგზავრო გემი; 15. ბრიტანული ტაქსი; 19. უნგრული ჯარის ძველი სახელწოდება; 20. ბალნეოლოგიური კურორტი იმერეთში; 21. სამონასტრო კომპლექსი მცხეთის მახლობლად; 22. სიტყვების წარმოთქმის მანერა.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა